ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

შაბათი-კვირა

19 მაისიდან
„ახალი თაობა“+
კრისტინ ზემსკი
ოქროს საცეცები
შემდეგი — ჯეიმს ჰედლი ჩეიზი
.ქვის ჯუნგლი .მოწმეები არ იქნებიან
წიგნი და გაზეთი ერთად 2,5 ლარი




ეროვნული ბიბლიოთეკა

9 — 10 ივნისი, 2012

№136 (5826)

ფასი: 30 თეთრი



გვ.4

## „მერაბიშვილმა პირობა დადო, 10 წლის შემდეგაც ჩვენ ვიქნებით ხელისუფლებაში“

რა ინფორმაციები აქვს პეტრე მამრაძეს

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბიძინა ივანიშვილი, შესაძლოა, 75 მლნ ლარით დაჯარიმდეს

გვ.4



## ქუთაისის პარლამენტმა უკვე 3 ადამიანი შეიწირა

გვ.3





გვ.2

## ირაკლი სესიაშვილი: „სააკაშვილი პოლიტიკური ილუზიებისგან უნდა გავათავისუფლოთ“

## უნდა წავიდეს თუ არა ნაცმოძრაობა პოლიტიკიდან?

გვ.5



## შალვა ოგბაიძე: რადიომიმღებების ჩახშობა საბჭოთა კავშირში დაბრუნებაა

გვ.2





## ვახტანგ მაჭავარიანი: მამის ჩრდილიდან გამოვედი

გვ.7

6 ივნისიდან
„ახალი თაობა“+
ტეტჩერი
8 ლარი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ირაკლი სესიაშვილი: „სააკაშვილი პოლიტიკური ილუზიებისგან უნდა გავათავისუფლოთ“

ნათია ხურცილავა

**„ქართული ოცნების“ ერთ-ერთი წარმომადგენელი ირაკლი სესიაშვილი აცხადებს, რომ მათი კოალიციის ერთ-ერთი ამოცანაა, პრეზიდენტ სააკაშვილს დაეხმარონ არჩევანის გაკეთებაში, რათა ის ხელისუფლებიდან სწორად წავიდეს.**

სესიაშვილი ასევე აცხადებს, რომ, ქუთაისის გარდა, აქციები სხვა ქალაქებშიც გაიმართება.

როგორც ჩანს, ბიძინა ივანიშვილმა წინასაარჩევნო კამპანიის წარმოებისა და მოსახლეობასთან ამ ფორმით შეხვედრის გზა აირჩია. თუ რატომ აირჩია წინასაარჩევნო კამპანიის ასეთი გზა ივანიშვილმა? ამ კითხვაზე ირაკლი სესიაშვილი გვპასუხობს:

***— ბატონო ირაკლი, რას ელით 10 ივნისს ქუთაისში დაგეგმილი აქციისგან? „ქართული ოცნების“ ლიდერებმა თბილისში გამართული აქციის შესახებ აღნიშნეს, რომ მოლოდინს გადააჭარბა ხალხის რაოდენობამ...***

— თბილისი თავისი პოლიტიკური აქტივობით ყოველთვის გამოირჩეოდა, რისი მთავარი მიზეზიც არის ის, რომ თბილისის მოსახლეობას საშუალება აქვს, მიიღოს ალტერნატიული, დამოუკიდებელი, ობიექტური ინფორმაცია. ამ ინფორმაციის მოპოვების წყალობით თბილისის მოსახლეობას უფრო თავისუფალი არჩევანის გაკეთების საშუალება აქვს, რასაც ხელისუფლება რეგიონებში არ უშვებს, ამის საშუალებას რეგიონის მოსახლეობას არ აძლევს, იყენებს, ერთი მხრივ, სიცრუის პოლიტიკას, მეორე მხრივ — პროპაგანდას ყველასათვის კარგად ცნობილი ტელეკომპანიების საშუალებით. ამიტომ სააკაშვილი შეგუებულია იმ ფაქტს, რომ თბილისში ადრე თუ გვიან სერიოზული მარცხისთვის არის განწირული. ამიტომ არის, რომ სააკაშვილი და მისი ხელისუფლება ნელ-ნელა დედაქალაქიდან იპარებიან. სწორედ ამ მიზეზით მოინდომეს ქუთაისში პარლამენტის გადატანა, რომ საზოგადოების პროტესტს თბილისში კონკრეტული მიმართულება და გამოხატულება არ ჰქონოდა. მაგალითად, ხვალ პარლამენტის შენობას რომ გაყიდიან თბილისში და ჩვენ, ამ ქალაქის მცხოვრებლებს, პროტესტის გამოხატვა მოგვინდება ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, სად უნდა გამოვხატოთ — სასტუმროს წინ თუ პარკთან? სააკაშვილის გათვლაა, რომ პოლიტიკური ცენტრი ქუთაისში გადაიტანოს და ამით ერთგვარი კომფორტი მოიწყოს იქ, სადაც მას პოლიტიკური ოპონენტები არ შეაწუხებენ, მაგრამ ეს გეგმები სააკაშვილს ჰქონდა მანამ, სანამ პოლიტიკურ სარბიელზე ბიძინა ივანიშვილი გამოჩნდებოდა. გამოჩნდა ბიძინა ივანიშვილი და ხელისუფლებას თავისი ილუზიები, რომლითაც ის იკვებებოდა, ჩაეფუშა. თუმცა, ჯერ კიდევ აქვს ხელისუფლებას იმედი, პირადად სააკაშვილს, რომ რეგიონები, მიუხედავად ყველაფრისა, მას დაუჭერენ მხარს. თბილისი ოპოზიციურად არის განწყობილი და ამის შესახებ ყველამ ვიცოდით. ეს თავად სააკაშვილმაც შესანიშნავად იცის.

***— ამის საფუძველს რა აძლევს?***

— პროპაგანდისტული მანქანებით, ასე თუ ისე, მაინც ახერხებს ადამიანების აზროვნებაზე ზემოქმედებას, მაგრამ ჩვენი მოქმედებაც და სტრატეგიაც გათვლილია სწორედ იმაზე, რომ როგორც ჩვენს, ისე საერთაშორისო საზოგადოებას, დავანახვოთ, რომ სააკაშვილი მიუღებელია არა უბრალოდ თბილისთვის, არამედ მთელი საქართველოსთვის. ჩვენი ამ მოქმედებით, ერთი მხრივ, რეგიონის მოსახლეობა უნდა გავამხნევოთ ერთად დგომით, კონსოლიდაციით, ჩვენი ძალების დემონსტრაციით, მეორე მხრივ, კიდევ ერთხელ ხაზი უნდა გავუსვათ, რომ სააკაშვილი არის არა უბრალოდ მიუღებელი და თან მხოლოდ თბილისისთვის, არამედ მთელი საქართველოსთვის. ჩვენ ამას დავამტკიცებთ კიდევაც.

***— როგორ?***

— მას აშკარას გავხდით ივნისში. დარწმუნებული ვარ, როგორც თბილისში, ისე ქუთაისში ძალიან ბევრი ადამიანი მოვა ამ აქციაზე. რა თქმა უნდა, მასშტაბები ქუთაისში მოსახლეობის რაოდენობის შესაბამისი იქნება. ქუთაისის შეკრების შემდეგ ჩვენი საზოგადოება კიდევ ერთხელ დარწმუნდება, რომ ქუთაისიდანაც მოუწევს სააკაშვილს საკუთარი პოლიტიკური ილუზიების გაფანტვა. შემდეგ უკვე სხვა რეგიონში გადავალთ, ასე მოვყვებით მთელ საქართველოს და ერთ მუშტად შევკრავთ, ოქტომბერში კი ერთი მოქნევით — არჩევნებით დავამთავრებთ ამ ხელისუფლებას და ნორმალურ ცხოვრებას დავიწყებთ.

***— მოქალაქეებთან მსგავსი შეხვედრები სხვა ქალაქებში, რაიონულ ცენტრებში იგეგმება?***

— რა თქმა უნდა. ყველა ძირითად რეგიონულ ცენტრში გაიმართება მსგავსი შეხვედრები.

***— ბიძინა ივანიშვილმა თავისი წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვის ასეთი ფორმა აირჩია, რომ მოსახლეობასთან უშუალო შეხვედრა გამართოს?***

— წინასაარჩევნო კამპანიას თავისთავად ახასიათებს სხვადასხვა ლონისძიება. ამ შემთხვევაში ჩვენ ვითვალისწინებთ მოსახლეობის სურვილს, ასევე მხარდაჭერასა და შემართებას. ვთვლით, რომ საჭიროა მსგავსი ფართომასშტაბიანი აქციებით ჩვენი მოქალაქეების გამხნევება, განსაკუთრებით რეგიონებში, რადგან იქ ძალიან სერიოზულად მოქმედებს ხელისუფლება. მოსახლეობას აშინებენ, იყენებენ პოლიციისა და სოდის, კუდის სტრუქტურებს, ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ახდენენ მოსახლეობაზე დაშინებით, მუქარით, გარკვეული ინციდენტებით. ამიტომ მოსახლეობის დიდი რაოდენობით მობილიზება და ამ სახით საარჩევნო კამპანიის დაწყება, მათ შორის რეგიონებში, ერთგვარი გამხნევება და გვერდით დგომაა. რა ძალაც გვაქვს, ეს უნდა დაინახოს პირველ რიგში ქართველმა საზოგადოებამ და მთელმა მსოფლიომ, რომ რეალურად ის ცრუ ინფორმაცია, რომელსაც სააკაშვილი წლების მანძილზე მთელ მსოფლიოში ავრცელებდა, რომ ის იყო უალტერნატივო და მარტო ის იყო დემოკრატიის შუქურა, ეს ყველაფერი ძალიან მალე დაიმსხვრევა, თუნდაც იმით, რომ მთელი საზოგადოება დაინახავს, რომ რეალურად სააკაშვილი დასრულებული ხელისუფალია. ხელისუფლება ხალხის გარეშე არაფერია.

***— ცხადია, სწორედ ხალხია ხელისუფლების წყარო...***

— დიახ, ცხადია და ეს კარგად ვიცით.



***— სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის მისიჯბზე მინდა გკითხოთ. როგორ ფიქრობთ, ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერა ისევ ძლიერია პირადად სააკაშვილის მიმართ თუ სხვა გ ზავნილებიც დაინახეთ?***

— ამერიკის შეერთებული შტატები ობამას გაპრეზიდენტების შემდეგ მხარს უჭერს მხოლოდ საქართველოს, საქართველოს ინტერესებსა და ქართველ ხალხს, რაც მათ არაერთხელ აღუნიშნავთ. სახელმწიფო დეპარტამენტი მხარს არამცდაარამც არ უჭერს რომელიმე პოლიტიკოსს პირდაპირ. არაერთხელ უთქვამთ, რომ ეგვიპტისა და ლიბიის კრიზისის დროს გარკვეულწილად შეცდომას უშვებდა შეერთებული შტატები, როდესაც განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდათ მათ ხელისუფალთან, რითაც ერთგვარად დათვურ სამსახურს უწევდა საერთო პარტნიორობასა და ინტერესებს. ამიტომ ასეთი მიდგომა უკვე დიდი ხანია შეცვლილია. შეერთებული შტატებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანაში დემოკრატიული არჩევნები ჩატარდეს, რითაც გადაიდგმება შემხვედრი ნაბიჯი ამერიკის შეერთებულ შტატებთან მომავალში თანამშრომლობის განვითარებისთვის. ამ შემთხვევაში ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიული არჩევნების ჩატარება, რომელიც კითხვის ნიშნებს არ გამოიწვევს, ბევრ სტრატეგიული მნიშვნელობის მიზანთან არის დაკავშირებული.

***— კონკრეტულად?***

— მათ შორის ნატოში ინტეგრაციასთან, კონფლიქტების მოგვარებასთან, რუსეთთან ურთიერთობის დალაგებასთან და, რა თქმა უნდა, ეკონომიკაზე და სხვა დანარჩენ საკითხებზეც. ამიტომ, ითვალისწინებენ რა ამ გარემოებას ჩვენი პარტნიორები, ცხადია, ისინი არიან სადარაჯოზე, რომ ქვეყანაში დემოკრატიული არჩევნები ჩატარდეს. პირდაპირი უხეში ჩარევა ჩვენი სტრატეგიული პარტნიორებისგან არ იქნება მანამ, სანამ ეს ხელისუფლება გარკვეულ კრიტიკულ ზღვარს არ გადააცილებს.

***— რა შეიძლება ეს ზღვარი იყოს?***

— ის, სანამ აშკარად არ იქნება გამოკვეთილი პოლიტიკური ოპონენტის მიმართ ღიად წარმოებული უკანონო მოქმედებები. უკანონო მოქმედებები, რომლებიც დღემდე ხორციელდება გარკვეულწილად ჩვენი პარტნიორებისთვის, არის ინფორმაცია, რათა მათ ურჩიონ ჩვენს ხელისუფლებას, რომ ასეთი უკანონობა აღარ გაგრძელდეს. მაგრამ, თუ ხელისუფლება ამ უკანონობის მასშტაბებს გაზრდის და მისცემს მას სახიფათო ხასიათს, რა თქმა უნდა, დასავლეთი ამ შემთხვევაში პრინციპული იქნება და მოითხოვს კიდეც უკანონო პროცესების შეჩერებას ხელისუფლებისგან.

***— თუ არჩევნებზე დარღვევები თვალსაჩინო გახდა, როგორც პრეზიდენტმა სააკაშვილმა განაცხადა, ამერიკელი პროფესიონალი დამკვირვებლები დააკვირდებიან საპარლამენტო არჩევნებს, სახელმწიფო დეპარტამენტი თვალს დახუჭავს?***

— არავითარ შემთხვევაში. თუ დროულად არ მოხდება რეაგირება უკანონო მოქმედებებზე, რომლებიც საფრთხეს უქმნის ქვეყანაში სამართლიანი არჩევნების ჩატარებას, მაშინ თუ დროულად არ მოხდება ასეთი უხეში უკანონო მოქმედებების შეჩერება და ამას არ ექნება პრევენციული ხასიათი, ის იქნება ერთგვარად წახალისებული და ფართომასშტაბიან ხასიათსაც მიიღებს, შეიძლება, კიდევ უფრო რთულ კრიზისში გადაიზარდოს. ამიტომ ამას დასავლეთი კარგად აანალიზებს და ხვდება. ამდენად, შემიძლია ვთქვა, რომ მათი მხრიდან იქნება ადეკვატური და დროული მოქმედება.

***— თუმცა, თქვენვე ამბობთ, რომ არაპირდაპირი ჩარევის გ ზით, რასაც დემოკრატიული სამყარო რეალურად არ დაუშვებს...***

— დიპლომატიაში არის შესაძლებლობები, ერთგვარი საშუალებები, რომლის გამოყენების გზითაც შესაძლებელია ამ ხელისუფლებაზე ზემოქმედების განხორციელება. სააკაშვილს რეალურად არა აქვს არჩევანი. მან უნდა გაიაზროს, რომ ან უნდა ჩაატაროს დემოკრატიული არჩევნები და ამ გზით შეეგუოს იმას, რომ ხელისუფლება დათმოს, ან უნდა წავიდეს აშკარად უსამართლო არჩევნებზე და, ფაქტობრივად, გზა მოიჭრას დასავლეთთან ურთიერთობის გასაგრძელებლად, ასევე ამ ურთიერთობის გაგრძელების პერსპექტივები, როგორც პოლიტიკურმა ლიდერმა, ნულამდე დაიყვანოს, ფაქტობრივად, უარი თქვას.

***— რა არჩევანს გააკეთებს, როგორ ფიქრობთ?***

— ჩვენ უნდა დავეხმაროთ სწორი არჩევანის გაკეთებაში. დღეს ხელისუფლებისთვის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული პრობლემაა ის, რომ მათ არ იციან, როგორც წავიდნენ ხელისუფლებიდან. მუდმივად ამ გზის ძიებაში არიან, შეიძლება ითქვას. ჩვენ თბილისის აქციით, ქუთაისის აქციით და ა.შ. კონსოლიდაციით, ერთად დგომით და სწორი პოლიტიკური კამპანიის წარმართვით ხელისუფლებას უნდა მივცეთ საშუალება, დროულად გააკეთოს არჩევანი და მოძებნოს წასვლის გზა. ესეც არის ერთ-ერთი ჩვენი ამოცანა.

## შალვა ოგბაიძე: რადიომიმღებების ჩახშობა საბჭოთა კავშირში დაბრუნებაა

პარტია „დემოკრატიული მოძრაობის“ წევრი, შალვა ოგბაიძე მიკროავტობუსებში რადიომიმღებების ჩახშობას საბჭოთა კავშირში დაბრუნებად აფასებს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ პარტიის პრესსამსახურიდან აცნობეს, საქართველოს ხელისუფლებამ მოსახლეობა კიდევ ერთი აბსურდული, უგუნური გადაწყვეტილებით „გააბედნიერა“.

„მოახლოებულ არჩევნებს კიდევ ერთი მზაკვრული ხრიკი მოახვია თავს-სამარშრუტო ტაქსებში აკრძალა რადიომიმღებების მოსმენა. ამით, ხალხს წაართვა ხელისუფლებისთვის არასასურველი ალტერნატიული ინფორმაციის მიღების უფლება. ხელისუფლება ფიქრობს, რომ შეძლებს კიდევ დიდი ხნით ამყოფოს საზოგადოება ვირტუალურ სამყაროში,“ – აცხადებს შალვა ოგბაიძე.

მისივე თქმით, აკრძალვები, როგორც წესი ახასიათებს ტოტალიტარულ რეჟიმებს და მას არაფერი აქვს საერთო დემოკრატიულ პროცესებთან.

„ხელისუფლებამ ადამიანის დამთრგუნველი, პიროვნული თავისუფლების შემზღუდველი სხვა მეთოდების შემოღებასთან ერთად „ფიქრის პოლიციის“ როლიც შეითავსა. ანალოგიური აკრძალვები ბუმერანგივით მოუბრუნდება ხელისუფლებას და ქართველი ხალხი გამოუტანს მას საკადრის განაჩენ“, – განაცხადა ოგბაიძემ.

ინტერპრესნიუსი

## „თავისუფალი საქართველო“ 83 წლის მოხუცებისთვის სოციალური დახმარების აღდგენას ითხოვს

პარტია „თავისუფალი საქართველოს“ გურჯაანის ორგანიზაცია 83 წლის უმწეო მოხუცებისთვის სოციალური დახმარების აღდგენას ითხოვს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ პარტიის პრესსამსახურიდან აცნობეს, სოფელ გურჯაანში მცხოვრები 83 წლის გიორგი და ლიზა მთვარელაშვილები სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფთა ბაზაში 2006 წლიდან იყვნენ დარეგისტრირებულები.

„თავისუფალი საქართველოს“ გურჯაანის ორგანიზაციის თავმჯდომარე, გიორგი ქოროღლიშვილი აცხადებს, რომ 2011 წლის დეკემბერში, თელავის სოციალური სააგენტოს მიერ ხელმეორედ იქნა გადამოწმებული მათი ოჯახი და დახმარება მოეხსნათ.

„ოჯახი მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაშია. გარდა ამისა, ლიზა მთვარელაშვილი არის მხედველობადაქვეითებული და დამოუკიდებლად გადაადგილება უჭირს“, – აღნიშნავს ქოროღლიშვილი.

„როდესაც სააგენტოს თანამშრომლები მოვიდნენ, მათ წარვუდგინე ფორმა 100, მაგრამ ასე მითხრეს თქვენ ოჯახში სიმინდი გაქვთ და დახმარება არ გეკუთვნითო. რაც შეეხება ჩვენ პენსიას, ის წამლის ფულადაც არ გვყოფნის“, – აცხადებს ლიზა მთვარელაშვილი.

„თავისუფალი საქართველოს“ გურჯაანის ორგანიზაციას მიაჩნია, რომ გურჯაანის სოციალური სააგენტო არაობიექტურად მუშაობს და მისი თნამშრომლები გულგრილად ეკიდებიან სოციალურად დაუცველ ფენას. პარტია მოითხოვს, აღუდგეს დახმარება უმწეო მოხუცებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, გურჯაანის სოციალური სააგენტოს წინ იგეგმება საპროტესტო აქციის მოწყობა სააგენტოს უფროსის, ლეილა მურაკაშვილის გათავისუფლების მოთხოვნით.

ინტერპრესნიუსი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ქრონიკული ეთნოლოგია

თეა მარჩვაიძე

# ქუთაისის პარლამენტმა უკვე 3 ადამიანი შეიწირა

**ქუთაისში პარლამენტის გადატანას ხელისუფლება მრავალი მიზეზით ამართლებს. ერთ-ერთი მიზეზი ის გახლავთ, რომ თბილისში პარლამენტის შენობა ცოდვიან ადგილზეა აშენებული. ეს მართლაც ასეა, მაგრამ თუ მარტო ეს იყო მიზეზი, მაშინ თბილისშიც შეიძლებოდა უცოდველი ადგილის მოძებნა პარლამენტის შენობის ასაშენებლად.**

რატომ და რისთვის გადააქვთ პარლამენტი ქუთაისში, ამას სერიოზული გამოძიება სჭირდება. ყველაზე უცნაური ის არის, რომ ეს შენობაც უკვე ცოდვიანია. ჯერაც აუშენებელმა პარლამენტმა უკვე 3 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა.

პარლამენტის შენობას დიდების მემორიალის ადგილზე აშენებენ. ეს მემორიალი მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა უკვდავსაყოფად ააგეს. ყვავილოვანმა ხელისუფლებამ მისი აფეთქება გადაწყვიტა. ნაგებობა 2009 წლის 19 დეკემბერს ააფეთქეს. აფეთქებამ დედა-შვილის სიცოცხლე შეიწირა.

ხელისუფლებამ ეს არად ჩააგდო და იმის მტკიცება დაგვიწყო, რომ ისეთი არაფერი მომხდარა. მათთვის არც მემორიალის აფეთქება ნიშნავდა რამეს. ნუგზარ წიკლაურმა თქვა, რომ ის მემორიალი უშნო იყო. თქვა ისიც, რომ მეორე მსოფლიო ომში დაღუპულები საქართველოსთვის არ დაღუპულან. თურმე, ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ლამის დანაშაული იყო და ა. შ.

მემორიალის აფეთქებამ და მისით გამოწვეულმა ტრაგედიამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ჩატარდა ჟურნალისტური გამოძიებაც. ჟურნალისტმა მაია მეცხვარიშვილმა მაშინ საკმაოდ საინტერესო ფაქტები მოიძია.

## ტრაგედიის მემორიალი

მონუმენტის დემონტაჟს მსხვერპლი მოჰყვა, რაც, სავარაუდოდ, აფეთქების თარიღის მოულოდნელად შეცვლისა და პოლიციის მიერ ტერიტორიის არაპროფესიონალურად გაკონტროლების მიზეზით მოხდა. თუმცა, დაკავებული არ არის არც ერთი სახელმწიფო მოხელე ან პოლიციელი.

19 დეკემბერს ქუთაისში, ირაკლი აბაშიძის ქუჩაზე, ეზოდან ხმის გამაძლიერებლებით დაიძახეს, რომ სახლი ყველას სასწრაფოდ უნდა დაეტოვებინა. ეკა ცუცხვაშვილი მცირეწლოვან შვილებთან ერთად რვასართულიანი კორპუსის ეზოში ჩავიდა და ერთ-ერთ ავტოფარეხთან შეკრებილ მეზობლებს შეუერთდა. ზუსტად 16:00 საათზე, აფეთქების ხმა გაისმა და რამდენიმე ასეულ მეტრში მდებარე „დიდების მემორიალი" მოსახლეობის თვალწინ ნაიქცა. თუმცა, აფეთქებასთან ერთად აბაშიძის ქუჩის ამ ეზოში საშინელი კივილი გაისმა – მემორიალის ბეტონის თაღის ნამსხვრევები კორპუსების მიმართულებით დიდი სიჩქარით გადმოიყარა და ეკა ცუცხვაშვილი და მისი ერთ-ერთი შვილი იმსხვერპლა.

ამავე კორპუსში მცხოვრები ირაკლი ჯინჭარაძე, რომელიც აფეთქებისას მიღებულ დაზიანებებს ამ დრომდე საავადმყოფოში მკურნალობს, იხსენებს: „ეზოში ვიდექი, ბინის უკან და გაისმა თუ არა აფეთქების ხმა, წამოვიდა ქვების წვიმა და წინა რიგში ვინც ვიდექით, კინაღამ ყველა წაგვილო. მე შემობრუნება მოვასწარი და ზურგში მომხვდა ქვა".

აბაშიძის ქუჩაზე მცხოვრებნი ამბობენ, რომ მათი გაფრთხილება მუნიციპალიტეტის და პოლიციის თანამშრომლებმა აფეთქებამდე რამდენიმე საათით ადრე დაიწყეს: „მოვიდა პოლიცია, – დაცალეთ სახლებიო, აფეთქება იქნებაო. პრობლემა არ იქნება, ოღონდ გარეთ გამოდით და ფანჯრები ღია დატოვეთო. მართლაც, გამოვედით გარეთ და სულ ნახევარ საათში ატყდა წივილ-კივილი იქით ეზოში. ვინ საით გარბოდა და რა პანიკა იყო, ენით ვერ აღვწერ", – იხსენებს მალვინა თედიაშვილი.

მერაბ ბერძენიშვილის მიერ აგებული მეორე მსოფლიო ომში დაღუპული მებრძოლების „დიდების მემორიალის" დემონტაჟი ქუთაისში 12 დეკემბერს დაიწყო. იქ დასაქმებული მუშების ინფორმაციით, ძეგლი 21 დეკემბერს, პრეზიდენტის დაბადების დღეს უნდა აეფეთქებინათ. ასეთი დირექტივა ჰქონდათ მათ დამქირავებლებისგან.

ადგილობრივი ჟურნალისტები ქუთაისის თვითმმართველობის წარმომადგენლებს 12 დეკემბერსვე დაუკავშირდნენ. მერიის კულტურის სამსახურის უფროსი გიზო თავაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თამაზ მარგველაშვილი და საკრებულოს უმრავლესობის ლიდერი კახა ნემსიწვერიძე მაშინ აცხადებდნენ, რომ ძეგლთან დაკავშირებით ინფორმაციას არ ფლობდნენ. მათ არც ის იცოდნენ, თუ ვინ მიიღო მემორიალის დემონტაჟის შესახებ გადაწყვეტილება.



პირველი ოფიციალური განმარტება 18 დეკემბერს ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელმა ზაზა ნუცუბიძემ გააკეთა: „ძეგლის დემონტაჟს მოითხოვს პარლამენტის მშენებლობა. მთავრობის განკარგულებით, ქუთაისისთვის გამოყოფილია თანხა, რომელიც უშუალოდ ამ პარლამენტის შენობის აშენების, დაპროექტების, დემონტაჟის და სხვა მოსამზადებელი სამუშაოებისთვისაა საჭირო". არც ადგილობრივ და არც ცენტრალური მთავრობის წარმომადგენლებს ჟურნალისტებისთვის სხვა ინფორმაცია არ მიუწოდებიათ.

ცნობა აფეთქების და მსხვერპლის შესახებ ნაციონალურ არხებზე მალევე დაიბლოკა. დედა-შვილის სიკვდილის მიზეზად ქუთაისის მაჟორიტარმა დეპუტატმა აკაკი ბობოხიძემ მათივე გაუფრთხილებლობა დაასახელა. ტელეარხებზე ქუთაისის მოსახლეობაც ტრაგედიის ამ ვერსიას „იზიარებდა". თუმცა, ნაჩვენებ კადრებში ადგილობრივ მოსახლეობას აბაშიძის ქუჩის ერთ-ერთი კორპუსის ამხანაგობის თავმჯდომარე და ნაციონალური მოძრაობის აქტივისტი, რუსუდან გურგენიძე წარმოადგენდა. გურგენიძე აცხადებდა, რომ პოლიციამ და მუნიციპალიტეტის თანამშრომლებმა მოსახლეობა 10 დღით ადრე გააფრთხილეს მოსალოდნელი აფეთქების თაობაზე. „მაგრამ არ დავემორჩილეთ ამ გაფრთხილებას და ამან გამოიწვია ეს უბედურება", – აღნიშნა მან.

აფეთქებისას მომხდარი ტრაგედიის შემდეგ მერიასა და შემსრულებელ ფირმებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები და შესაბამისი ბრძანებები საგამოძიებო მასალად ჩაითვალა და ჟურნალისტებისთვის დაიხურა.

სწორედ ამ დოკუმენტაციიდან (რომელიც საქმეში ჩართული არასაჯარო პირისგან მოვიპოვეთ) ირკვევა, რომ ქუთაისში მემორიალის დემონტაჟი საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის №915 განკარგულების საფუძველზე დაიწყო, რომელსაც ხელს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური აწერს.

„ქ. ქუთაისში პარლამენტის ახალი შენობის დაპროექტების, სამშენებლო მოედანზე არსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის, სეისმური და გეოლოგიური კვლევების ჩატარების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თვითმმართველი ქალაქი ქუთაისის მერიას გამოუყოს 5 მილიონი ლარი", – წერია განკარგულებაში.

იმავე განკარგულებაში მითითებულია, რომ სამუშაოების მაქსიმალურად მოკლე ვადებში შესრულებისთვის სახელმწიფო შესყიდვები უნდა განხორციელდეს ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით, ხოლო განკარგულების შესრულებაზე კონტროლი იმერეთის გუბერნატორს მიხეილ ჩოგოვაძეს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაევალათ.

5 მილიონი ლარი ქუთაისის ბიუჯეტის ანგარიშზე 11 დეკემბერს ჩაირიცხა. ძეგლის დემონტაჟი 12 დეკემბრიდან დაიწყო. სამუშაოებს თბილისური ფირმა „საქფეთქმრეწვი" და ქუთაისური „ლიტოკონსტრუქცია" აწარმოებდნენ. თუმცა, როგორც ირკვევა, ამ დროს ამ ფირმებთან ხელშეკრულებები გაფორმებული არ იყო. კონტრაქტები ქუთაისის მერიამ 16 დეკემბერს გააფორმა, თუმცა არა „საქფეთქმრეწვთან" და „ლიტოკონსტრუქციასთან", არამედ – შპს „საქმილსადენმშენთან". ხელშეკრულების მიხედვით, კომპანიებს დაევალათ „ქ. ქუთაისში, საქართველოს პარლამენტის ახალი შენობის მშენებლობისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე, ირაკლი აბაშიძის ქუჩაზე დიდების მემორიალის დემონტაჟის, შესაბამისი სამუშაოებისა და მიღებული ნარჩენების გატანის უზრუნველყოფის (50კმ-ს ფარგლებში) განხორციელება". ამ სამუშაოსთვის შპს „საქმილსადენმშენს" 600 ათასი ლარი უნდა მიეღო ბიუჯეტიდან. ხელშეკრულების თანახმად, „საქმილსადენმშენი" იძლევა გარანტიას, რომ შეასრულებს სამუშაოს ეფექტურად და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, დადგენილი ნორმების დაცვით.

ტრაგედიიდან 6 საათში პრეზიდენტმა სააკაშვილმა მომხდარზე პოლიტიკური პასუხისმგებლობა იმერეთის გუბერნატორს მიხეილ ჩოგოვაძეს დააკისრა. პრეზიდენტის ადმინისტრაციის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ პირდაპირ ეთერში აუწყა მოსახლეობას, რომ მიხეილ სააკაშვილმა თანამდებობიდან გაათავისუფლა მიხეილ ჩოგოვაძე.

ვისი გადაწყვეტილება იყო აფეთქების თარიღის გადმოწევა, ამაზე ხელისუფლებიდან არავინ ლაპარაკობს. არაოფიციალური ვერსიით, მთავრობამ ძეგლის მოულოდნელად დანგრევა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც „დიდების მემორიალის" დემონტაჟს ქუთაისში ოპონენტები გამოუჩნდა.

„ჩვენ 18 დეკემბერს გამოვაცხადეთ, რომ 21 დეკემბერს ქუთაისში გაიმართებოდა დიდი საპროტესტო აქცია მემორიალის აფეთქებასთან დაკავშირებით, რასაც მეორე დღეს მოჰყვა ძეგლის აფეთქება", – ამბობს „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის" ქუთაისის ორგანიზაციის ხელმძღვანელი შოთა ბურჯანაძე. ოპოზიციის წარმომადგენლები დემონტაჟის დაჩქარებას ხელისუფლების მხრიდან მოსალოდნელი საპროტესტო აქციის თავიდან აცილების მცდელობას უკავშირებენ.

„საქფეთქმრეწვის" დაკავებული თანამშრომლების ადვოკატი მარიკა სხვანიძე ამბობს, რომ დაცვის მხარეს აქვს დოკუმენტური და ფოტომასალა, რომელიც კომპანიის უდანაშაულობას ადასტურებს. ასევე, ადვოკატის თქმით, გუბერნატორთან შეთანხმებით, პერიმეტრზე უსაფრთხოების დაცვაზე პოლიცია იყო პასუხისმგებელი და არა – აფეთქების შემსრულებელი ფირმა. მიუხედავად ამისა, სისხლის სამართლის საქმე პოლიციის არც ერთი წარმომადგენლის წინააღმდეგ არ არის აღძრული. არ დამდგარა არც ქუთაისის მუნიციპალიტეტის რომელიმე თანამშრომლის პასუხისმგებლობის საკითხი.

## მეორე ტრაგედია

მეორე ტრაგედია ქუთაისის პარლამენტთან 7 ივნისს დატრიალდა. საპარლამენტო ოპოზიცია ჯერ კიდევ მაისში ამბობდა, რომ იქ ტრაგედია გარდაუვალი იყო. საქმე ის გახლავთ, რომ პრეზიდენტმა მოითხოვა, გინდა თუ არა 26 მაისს ახალ პარლამენტში უნდა ჩავატაროთ სხდომაო. დეპუტატი გია ცაგარეიშვილი ამბობდა, რომ ასე სწრაფად სამუშაოების დასრულება ვერ მოხდებოდა.

თავიდან ამ აზრზე იყვნენ ქრისტიან-დემოკრატებიც. თქვეს, არ წავალთ, თავში აგური არ დაგვეცესო. ბოლოს მაინც წავიდნენ. გიორგი თარგამაძეს პრეზიდენტმა ჩაფხუტი აჩუქა. თარგამაძეს და სხვა დეპუტატებს არაფერი მოსვლიათ. 7 ივნისს კი იქ დიდი ტრაგედია დატრიალდა.

ნგრევას 55 წლის რეზო ნებიერიძე ემსხვერპლა. გავრცელებული ინფორმაციით, არიან დაშავებულებიც. ამ ინფორმაციას ჯანდაცვის სამინისტროც კატეგორიულად უარყოფს. ადგილობრივები კი საპირისპიროს ამტკიცებენ.

ხელისუფლება არც ნგრევის მიზეზებს ხსნის ზუსტად. ამტკიცებენ, რომ ხარაჩო ჩამოიქცა. ტრაგედიის ადგილი პირადად ნახა დეპუტატმა დიმიტრი ლორთქიფანიძემ.

– მე პირადად ვნახე ადმინისტრაციული შენობის კარკასი, რომელიც მეორე სართულიდან დაახლოებით 12-დან 15 მეტრამდე არის ჩაქცეული. როგორც ჩანს, შენობამ ბეტონის მასის იმ ნაწილს ვერ გაუძლო, რომელიც ახალი ჩასხმული იყო, – აღნიშნა „ფრომ.გე"–სთან საუბარში ლორთქიფანიძემ.

რაც შეეხება დაზარალებულებს, ლორთქიფანიძის განმარტებით, ქალაქის მერი მათ არწმუნებდა, რომ დაზარალებული მხოლოდ ერთადერთი, მშენებლობის ბრიგადირი, 55 წლის რეზო ნებიერიძეა, რომელიც ზესტაფონის მკვიდრია.

– მერმა სრული პასუხისმგებლობა აიღო იმაზე, რომ ამის გარდა არავინ დაზარალებულა, დაშავებულა ან გარდაცვლილა. ის გვარწმუნებდა, რომ სხვას არავის არანაირი სახის დაზიანება არ მიუღია, – განაცხადა ლორთქიფანიძემ.

ახალი პარლამენტის სისხლიანი მშენებლობის ირგვლივ კიდევ დიდხანს იქნება ხმაური. სალაპარაკო მართლაც ძალიან ბევრია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამ შენობამ უკვე 3 ადამიანი იმსხვერპლა. 7 ივნისს რეზო ნებიერიძე დაიღუპა. ხოლო 2009 წლის 18 დეკემბერს დედა-შვილი - 42 წლის ეკა ცუცხვაშვილი და 11 წლის ნინო ჯინჭარაძე დაიღუპნენ.

## „დემოკრატიული მოძრაობა" ქუთაისში მომხდარი ტრაგედიის გამო მწუხარებას გამოთქვამს

პარტია „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო" თბილისში №1 კლინიკური საავადმყოფოს ტერიტორიასა და ქუთაისში პარლამენტის მშენებარე შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე შენობების ჩამონგრევით გამოწვეული ტრაგედიის გამო მწუხარებას გამოთქვამს.

როგორც „დემოკრატიული მოძრაობის" მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, აღნიშნული შემთხვევები კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ საქართველოში მშენებლობები და მასთან დაკავშირებული მოსამზადებელი სამუშაოები უსაფრთხოების პირობების ყოველგვარი დაცვის გარეშე მიმდინარეობს.

განცხადების თანახმად, გუშინდელი მსხვერპლი პირველი არ არის, რომელიც სააკაშვილის თვითნებობას ეწირება.

„სწორედ ამ ადგილას, დიდების მემორიალის აფეთქების შედეგად დედა-შვილი დაიღუპა. ზუსტად ხელისუფლების გაუაზრებელი, ნაჩქარევი გადაწყვეტილებებისა და უსაფრთხოების ზომების დაუცველობის შედეგია აღნიშნული ტრაგედიაც" – ნათქვამია განცხადებაში.

„დემოკრატიული მოძრაობა" იმედს გამოთქვამს, რომ საქართველოს მოსახლეობის ერთობლივი ძალისხმევითა და ბრძოლით კრიმინალური რეჟიმი მალე შეიცვლება და ყველა დამნაშავე პასუხს აგებს.

ნიუსპრესი

## აშშ-ს კონგრესმენებმა საქართველოს მხარდასაჭერი რეზოლუცია მიიღეს

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმენებმა საქართველოს მხარდასაჭერი რეზოლუცია მიიღეს. აშშ-ს კონგრესის საგარეო საქმეთა კომიტეტმა დოკუმენტი გუშინ დაამტკიცა. რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ წარმომადგენელთა პალატა შეერთებული შტატების საქართველოსთან გაძლიერებულ ურთიერთობას უჭერს მხარს. დოკუმენტის მიზანი საქართველოსთვის დახმარება, უსაფრთხოების გაზრდა და მხოლოდ მშვიდობიანი გზით ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა. რეზოლუციაში ამერიკელი კონგრესმენები რუსეთისგან ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას მოითხოვენ. ისინი ღიად მოუწოდებენ რუსეთის მთავრობას იძულებით გადაადგილებულ პირებს სრული, ღირსეული, უსაფრთხო და ნებაყოფლობითი დაბრუნების საშუალება მისცეს. ასევე, ოკუპირებულ რეგიონებში საერთაშორისო მისიები დაუშვას.

ნიუსპრესი

## გავრცელებული ინფორმაციით, ქუთაისში პარლამენტის ჩამონგრევის შედეგად, კიდევ ერთი მოქალაქე გარდაიცვალა

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ქუთაისში მშენებარე პარლამენტის დამხმარე შენობის ნაწილის ჩამონგრევის შედეგად, კიდევ ერთი მოქალაქე გარდაიცვალა.

როგორც „ნიუსპრესის" ქუთაისის ბიუროს კორესპონდენტი იუწყება, ამ ეტაპზე არსებული ინფორმაციით, გარდაცვლილი დია ჩიანელის ქუჩაზე მცხოვრები 50 წლის ნიკო მამაგეიშვილია. მამაგეიშვილი მარტოხელა მამაკაცია, რომელიც დროებითი სამსახურებით ირჩენდა თავს. ის ბოლოს პარლამენტის შენობის მშენებლობაზე იყო დასაქმებული.

ვრცელდება ინფორმაცია, რომ გარდაცვალების ფაქტს ადასტურებენ ნათესავები და მეზობლები, თუმცა, ისინი მედიასთან ურთიერთობას ერიდებიან.

ქუთაისში, მშენებარე პარლამენტის შენობის დამხმარე შენობის ნაწილი გუშინ ჩამოინგრა. ჯანდაცვის სამინისტროს ოფიციალური განცხადების თანახმად, პარლამენტის შენობისა და მთავრობის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე დამხმარე ნაგებობის ხარაჩოს ჩამოშლის შედეგად, ობიექტზე მომუშავე ერთი მუშა რეზო ნებიერიძე გარდაიცვალა.

ნიუსპრესი

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ორშაბათ ლეიბორისტული პარტიის პოლიტიკური კომიტეტი სპეციალურ განცხადებას გააკეთებს

ორშაბათს თბილისში, მეტეხთან ლეიბორისტული პარტიის პოლიტიკური კომიტეტი სპეციალურ განცხადებას გააკეთებს. ამის შესახებ „მედიანიუსს“ ლეიბორისტული პარტიის პოლიტიკურმა მდივანმა გიორგი გუგავამ განუცხადა. მან სპეციალური განცხადების თემის დაკონკრეტებისაგან თავი შეიკავა.

„ორშაბათს მობრძანდით და ყველაფერს გაიგებთ“, – გვითხრა გუგავამ.

ზემოხსენებული ინფორმაცია დღეს ფეისბუკით ლეიბორისტების ლიდერის, შალვა ნათელაშვილის მეუღლე ბელა ალანიამაც გაავრცელა. ქსელის მომხმარებლების კითხვაზე, „იშლება თუ არა პარტია ?“ მან შემდეგი რამ დაწერა: „შალვას კარგად არ იცნობენ ესენი -მელას რაც ელანდებოდა, ის ესიზმრებოდაო“.

შეგახსენებთ, რომ ინფორმაცია ლეიბორისტული პარტიის დაშლის შესახებ რამდენიმე დღის წინ პრესით გავრცელდა. გასული პერიოდის განმავლობაში ლეიბორისტები აღნიშნულ საკითხზე კომენტარების გაკეთებისაგან თავს იკავებდნენ.

მედიანიუსი

### „ქართული ოცნების“ მხარდამჭერების დაკავებას აპროტესტებენ

„დემოკრატიული მოძრაობა“ ქუთაისში პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ ახალგაზრდული ორგანიზაციის ყოფილი წევრების დაკავებას პოლიტიკური ანგარიშსწორების მორიგ მაგალითად აფასებს.

„ამომრჩევლის მოსყიდვის ბრალდებით გრიგოლ ამბროლაძის, მიხეილ მესხისა და მიხეილ ამაშუკელის დაკავება არის ხელისუფლების მხრიდან პოლიტიკური ოპონენტების მიმართ არაერთგზის განხორციელებული ანგარიშსწორების კიდევ ერთი მაგალითი. „დემოკრატიული მოძრაობა“ სოლიდარობას უცხადებს დაკავებულებს და გმობს ხელისუფლებიდან მართული სასამართლოს მიერ გამოტანილ სრულიად უსამართლო განაჩენს“, – ნათქვამია პარტიის განცხადებაში.

ამასთან, „დემოკრატიული მოძრაობა“ საერთაშორისო საზოგადოებასაც მიმართავს და მოუწოდებს, რომ აქტიურად ჩაერთოს მსგავსი მოვლენების მონიტორინგში და მოითხოვონ სამართლიანი და მიუკერძოებელი გამოძიება.

„კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ იმის აუცილებლობას, რომ არჩევნების მოახლოებასთან ერთდ, ხელისუფლების მხრიდან სულ უფრო გაძლიერებულ ტერორსა და ზეწოლას, რეალურმა ოპოზიციურმა სპექტრმა ერთიანი ძალისხმევა უნდა დაუპირისპიროს“, – აღნიშნულია განცხადებაში.

ნიუსპრესი

### ბიძინა ივანიშვილი, შესაძლოა, 75 მლნ ლარით დაჯარიმდეს

პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერის ბიძინა ივანიშვილის ადვოკატები ალექსანდრე ბარამიძე და შალვა თადუმაძე თბილისის საქალაქო სასამართლოს სუბიექტურობასა და მიკერძოებულობაში ადანაშაულებენ.

პარასკევს საქალაქო სასამართლომ კონტროლის პალატის მიერ ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის განხილვა დაიწყო. კონტროლის პალატა ივანიშვილს კომპანიების „ბურჯის“ და „ელიტა ბურჯის“ რესურსების გამოყენებაში, კერძოდ, 239 ერთეული სხვადასხვა კლასის ავტომანქანით შეღავათიან ფასებში მომსახურებაში ადანაშაულებს, რასაც კონტროლის პალატის ბრალდებით, ივანიშვილი საარჩევნო და პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებდა.

ნიუსპრესი

# „მერაბიშვილმა პირობა დადო, 10 წლის შემდეგაც ჩვენ ვიქნებით ხელისუფლებაში“

## რა ინფორმაციები აქვს პეტრე მამრაძეს

ქეთი ხომერიკი

**კლინტონის ვიზიტზე, სააკაშვილ-პუტინის სახიფათო ტანდემსა და იმაზე, თუ როგორ შეიძლება განვითარდეს პოლიტიკური პროცესები, „ახალ თაობას“ „ერთობა სამართლიანობისთვის“ წარმომადგენელი პეტრე მამრაძე ესაუბრა.**



პეტრე მამრაძე:

– პირველი მთავარი გზავნილი ეს არის ის, რომ აშშ-ს დღევანდელი ადმინისტრაცია მხარს უჭერს ქართველ ხალხს, ე.ი. სახელმწიფოს, იქნება ეს დამოუკიდებლობა, სუვერენობა, განვითარება, მათ შორის, ეკონომიკური თუ სხვა, აი, ეს იყო მტკიცედ ნათქვამი. მეორე - ძალიან მკვეთრად, ჩვენი რეჟიმის შეურაცხყოფის ზღვარზეც კი გვიმეორებენ იმას, რომ შემდგომი ურთიერთობისთვის აუცილებელია თავისუფალი, სამართლიანი არჩევნების ჩატარება და ამჟამად ამის განცხადება იყო განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იმით, რომ კლინტონმა დეტალიზაცია მოახდინა, ანუ თქვა, რომ ეს იმ დღეს, არჩევნების დღეს საკმარისი არ არის, საარჩევნო პერიოდი უნდა იყოს ისეთი, რომ კონკურენტული გარემო არსებობდეს.

*– ხაზგასმით აღნიშნა, დამკვირვებლები ჩამოვლენო...*

– აი, ეს ძალიან მნიშვნელოვანია, აქ პოლიტიკური დატვირთვა აშკარაა. ანუ თქვა, ძალიან დაინტერესებულები ვართ ამითო. წარმოიდგინეთ, ზრდასრულ ადამიანს ეუბნებოდნენ რეგულარულად, იცი რა, საჭმლის წინ ხელი უნდა დაიბანოო. აი, ამას ჰგავს ეს. ქვეყანა როცა ნორმალურია, არავინ ახსენებს მას, თან ასე დაჟინებით, რომ უნდა ჩაატაროს ასეთი არჩევნები და უნდა მოხდეს ხელისუფლების ცვლილება და არა გადაცემა, როგორც ამას ზოგ-ზოგიერთები თავის გემოზე თარგმნიან, დიახ, ცვლილება. ეს იყო უაღრესად მკვეთრად ნათქვამი და ვერ გადაფარავს ამას ვერაფერი, მათ შორის, ვერც ბათუმში სეირნობა.

*– ანუ სააკაშვილისადმი მხარდაჭერა არ გამოუვლენია კლინტონს და საუბრები იმის შესახებ, რომ დამკვირვებლები ხელისუფლებას არჩევნებს გაუპრავებენ, რეალობასთან ახლოს არ არის?*

– არა, ამას კატეგორიულად გამოვრიცხავ. ჯერ ის რად ღირს, რომ უნდა მიიღო ზომებიო, რათა ეკონომიკური განვითარება უკვე იმათაც შეეხოს, ვინც ჯერჯერობით, ამ ეკონომიკური რეფორმების შედეგებით ვერ სარგებლობსო. კლინტონმა პირველად თქვა მსგავსი რამ. შესანიშნავად იციან, რომ სიღარიბის არეალი საქართველოში ფართოვდება და კონტრასტი ღარიბებსა და ერთი მუჭა მდიდრებს – რეჟიმთან დაახლოებულ პირებს შორის სულ უფრო იზრდება.

*– კლინტონმა მრავალჯერ აღნიშნა, სამართლიანი არჩევნები უნდა ჩატარდესო, აშშ-ში ფიქრობენ, რომ სააკაშვილი პუტინს მიბაძავს და მის გზას დაადგება?*

– პუტინიზაცია დიდი ხანია მომხდარია და, რა თქმა უნდა, მათ ძალიან აღელვებთ პუტინ-სააკაშვილის ტანდემი, რომელიც თითქმის 8 წელიწადია რეგიონში ხორციელდება. პუტინი ძალიან სახიფათოა საქართველოში სააკაშვილთან ერთ ტანდემში იმიტომ, რომ სააკაშვილი არის მთლიანად მართული პუტინისა და მისი ჩეკისტების მიერ. გაიხსენოს ყველამ ივანიშვილის ცნობილი განცხადება, რომელიც სამთავრობო საათზე ჰკითხეს კიდეც მერაბიშვილს და პასუხი ვერ გაგვცა, ვგულისხმობ, გახსოვს ვანო, როგორ დავარწმუნე 40 წუთში ბოკერია (და ეს არის 2008 წლის გაზაფხული, ძალიან მნიშვნელოვანია თარიღი, ომამდე ნახევარი წლით ადრე) და მერე სააკაშვილმა მკითხა, კი მაგრამ, რუსებმა თვითონ რომ შემომთავაზონ ამის გაკეთება, ანუ ცხინვალში შესვლა იმ პირობით, რომ თვითონ არ გაინძრევიანო, მე კი ვუთხარი, აი, სულ, რომ თქვან, გჩუქნით ცხინვალს, მაინც არ დაუჯეროთ, ვიდრე რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო არ გააკეთებს საჯარო ოფიციალურ განცხადებასო. მაშინ კი შევძელი ამ ავანტიურის ჩაშლა, მაგრამ ცოტა ხანში მაინც გააკეთეს ის, რაც გააკეთესო. აი, კითხვა იყო ჩემი ასეთი – ვინ იყვნენ ის ქართველები, რომლებიც აქეზებდნენ სააკაშვილს, რომ შესულიყო ცხინვალში, არწმუნებდნენ, რუსები გვერდზე გაიწევდნენ და ყველაფერი კარგად დამთავრდებოდა.

*– ვინ თუ იცით?*

– მე ხომ ვერ დავასახელებ მათ, იქ არ ვყოფილვარ, მე ვიცი სხვებისგან, ვინც იყვნენ ის ქართველები, ერთი დაასახელა კიდეც ბიძინამ. ვიცი, მაგრამ ვერ ვასახელებ, რადგან ნებისმიერმა მათგანმა შეიძლება შეიტანოს საჩივარი სასამართლოში და მე წყაროს ვერ დავასახელებ. მერაბიშვილი ესწრებოდა ამ შეხვედრებს, ყველა შეხვედრას და იცის შესანიშნავად, ვინ იყო ომის მომხრე და ვინ - არა. ვეკითხები მერაბიშვილს, სააკაშვილმა 2008 წლის ივლისში რომ თქვა, პირდაპირ მითხრეს რუსებმა, ცხინვალი არ გვაინტერესებსო, ეს ჩემთან წამოსცდათო, დაიჯერეს? აი, მე ვამბობ, ჩეკისტები რა, წამოცდენების ოსტატები არ არიან? მე მითხრა ერთმა ცნობილმა უცხოელმა პოლიტოლოგმა ჯერ კიდევ 2004 წელს, რომ თქვენი პრეზიდენტი არის ფსიქოპატი, რომელსაც ქვეყნის მართვა არ შეუძლია, პუტინი კი არის ჩეკისტი, რომელიც ამას ბოლომდე გამოიყენებს და თქვენს პრეზიდენტს იხმარს, უკაცრავად და, როგორც ტუალეტის ქაღალდსო.

*– სხვათა შორის, კლინტონმაც მკვეთრი განცხადება გააკეთა რუსეთის სამხედრო წვრთნებზე...*

– ეს იყო ღია ტექსტი – ნუ სპეკულირებთ იმით, რომ ეს წვრთნები ემთხვევა მაინცდამაინც თქვენს არჩევნებსო. მოუწოდა ამათ, თქვენ უნდა ჩაატაროთ სამართლიანი არჩევნები და წვრთნების ნუ გეშინიათო. მართლაც ეს წვრთნები ვერაფერს დააკლებს საქართველოს თუ თვითონ არ მოაწყო კიდევ ერთი პროვოკაცია სააკაშვილმა.

*– კი მაგრამ, შესაძლებელია, რომ მოაწყოს? ის ვიცით, შემოდგომაზე - არჩევნებზე პუტინს რომ ხვდება...*

– ვიმეორებ, ეს ტანდემი ძალიან სახიფათოა და კიდევ რა წამოსცდებათ რომელი არხებით ჩეკისტებს, მე არ ვიცი. სააკაშვილი რომ მივარდა მიხალკოვთან, იმ კაცთან, რომელიც მაშინ პუტინს ღიად ლანძღავდა იმის გამო, რომ პუტინმა თბილისი არ აიღო და მერე კახეთში ჩამოვიდა მიხალკოვი ქორწილში და სააკაშვილიც მივიდა, ეს რა იყო?! და ვინც იმ ქორწილში ნამყოფია იმათგან ვიცი, რომ ერთი გალახული ბიჭივით კუთხეში იჯდა იმის იმედით, რომ მიხალკოვი დაელაპარაკებოდა. იმ ადამიანზეა ლაპარაკი, რომელსაც პუტინზეც გავლენა აქვს. წარმოიდგინეთ, ოპოზიციიდან ვინმე რომ ყოფილიყო იმ ქორწილში, როგორ ჩაქოლავდა. ამიტომ, მე რა ვიცი, მიხალკოვს რამე წამოსცდა იქ ქორწილში, ან პუტინს და მიუტანეს სააკაშვილს ეს ამბავი თუ არა? კიდევ ერთხელ გეუბნებით, ეს ძალიან სახიფათო ტანდემია.

*– ლუკაშევიჩი გამოეხმაურა კლინტონის განცხადებებს, ამაზე რას იტყვით?*

– პუტინის ჩეკისტურ რეჟიმს რუსეთში ურთულესი დემოგრაფიული, სოციალური და ეკონომიკური ვითარების ფონზე აქვს ერთი კოზირი თავის ჭკუაში – გარეშე მტრის ხატის შექმნა და მოსახლეობის დარაზმვა ამ მტრის წინააღმდეგ, რაც რუსეთში მუშაობს საუკუნეების განმავლობაში. მაშინვე პატიობენ ხელისუფლებას უკანონობას, კორუფციას და ა.შ. აი, ახლაც სულ ცდილობენ ამ კარტის გათამაშებას. ნატოსთან აქვს შესანიშნავი საქმიანი ურთიერთობა რუსეთს, მაგრამ განცხადებების დონეზე მტრის ხატი რჩება მათ კოზირად და ყოველთვის იტყვიან რაღაცას, რომ, აი, ისევ და ისევ აქეზებს კლინტონი სააკაშვილს და ა.შ.

*– გარეშე მტრის ხატის შექმნაში სააკაშვილსაც ადანაშაულებენ ხოლმე, რა ხდება, რუსეთისგან გადმოიღო?*

– დასავლელი დიპლომატები და ექსპერტები კვდებიან ხოლმე სიცილით და ამბობენ შემდეგს – თუ რუსეთში ვინმე გამოდის დემოკრატიის მომხრედ და ამის გამო აკრიტიკებს რეჟიმს, მას მაშინვე იარლიყი ედება იმის, რომ აშშ-ს აგენტია, საქართველოში კი თუ ვინმე ხმას ამოიღებს დემოკრატიაზე, მაშინვე კრემლის აგენტს ეძახიანო. აი, ასეთი გაჭრილი ვაშლივით მსგავსი სტილი და მიდგომა აქვთ. როგორც კი რაღაცა, აჰა, კრემლის აგენტი ხარ. აგერ, ალასანიაც გამოიყვანეს მტრად და რუსეთზე მომუშავედ, როცა მართლა პრევენციული განცხადება გააკეთა ირაკლიმ.

*– დაბოლოს, ხელისუფლება რამდენად ადეკვატურად აღიქვამს კლინტონის განცხადებებს დემოკრატიული არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით, ჩაატარებს სამართლიან არჩევნებს?*

– ხელისუფლება, რა თქმა უნდა, არ გაითვალისწინებს და არ და ვერ ჩაატარებს სამართლიან არჩევნებს, რადგან დიდი ხანია შესულია იმ ფაზაში, რომ თუ ჩაატარებს მართლა თავისუფალ არჩევნებს, დაკარგავს ძალაუფლებას და ამათ თავში არის, როგორც ორჯერ ორი ოთხი, ძალაუფლებას თუ დავკარგავთ, დავკარგავთ არა მარტო მილიარდებს, რომელიც მოვიპოვეთ, არამედ მივდივართ ციხეში. აი, ასე უყურებენ ესენი ამას და მე ეს ზუსტად ვიცი. აცხადებენ, აქ უნდა დავრჩეთ სამუდამოდო და ვანო მერაბიშვილი პედაგოგებთან თუ ჯანდაცვის მუშაკებთან შეხვედრისას სულ შემდეგს ამბობს – ჩვენ ვიქნებით 2 წლის შემდეგაც, 5 წლის შემდეგაც, 10 წლის შემდეგაცო, მოკლედ, სულ ჩვენ ვიქნებითო.

### „მაესტროს“ ეთერში სტუმრობის გამო განათლების კომიტეტის აპარატის წამყვან სპეციალისტს საყვედური გამოუცხადეს

ტელეკომპანია „მაესტროს“ დილის ეთერში სტუმრობის გამო პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის აპარატის წამყვან სპეციალისტს ქეთევან ტომარაძეს საყვედური გამოუცხადეს.

პარლამენტის აპარატის ხელმძღვანელმა დავით ჯანიაშვილმა შესაბამის ბრძანებას 1 ივნისს მოაწერა ხელი, რომლის მიხედვით, ტომარაძეს შენიშვნა 29 მაისს სამსახურში დაგვიანებით გამოცხადებისა და შეტყობინების წესის დარღვევის გამო ეძლევა.

ტომარაძე დავით ჯანიაშვილისგან მიღებულ ოფიციალურ შენიშვნას მაია მიმინოშვილის გათავისუფლებასთან, პარლამენტში არსებულ ვითარებასა და ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით საკუთარი კრიტიკული პოზიციის ღიად დაფიქსირებას უკავშირებს.

ტომარაძე თვლის, რომ პარლამენტის აპარატი მას ივნისის სოლიდურ პრემიას მოუხსნის, ანალოგიურ შენიშვნებს ისევ მისცემს და მსგავსი ბრძანებების საფუძველზე საბოლოოდ სამსახურს დაატოვებინებს.

„მაესტროს“ ეთერში გამოსვლის გამო სამსახურში მართლაც დავაგვიანე, მაგრამ ზნეობრივად, ეს პოლიტიკური დევნის კლასიკური ნიმუშია“ – მიიჩნევს ქეთევან ტომარაძე.

პირველი

### უმრავლესობა „ციხეებიდან თეთრი ბაირაღების გადმოფენას“ არ აპირებს

მმართველი უმრავლესობა „ციხეებიდან თეთრი ბაირაღების გადმოფენას“ და ამნისტიის გამოცხადების თაობაზე ოპოზიციის მიერ შეთავაზებული საკანონმდებლო წინადადების მხარდაჭერას არ აპირებს.

იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტმა პარასკევს „ამნისტიის შესახებ“ პარლამენტის ოპოზიციონერი წევრის ჯონდი ბაღათურიას კანონპროექტი განიხილა, თუმცა მას არც კომიტეტის თავმჯდომარემ პავლე კუბლაშვილმა და არც ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის ხელმძღვანელმა ლაშა თორდიამ დაუჭირა მხარი. მათ მიერ გაკეთებული შესაბამისი განცხადებების შემდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო, კანონპროექტის წინააღმდეგ კომიტეტის დანარჩენი წევრებიც წავიდნენ.

სახელისუფლებო გუნდის არგუმენტები შემდეგში მდგომარეობს: კრიმინოგენული თვალსაზრისით ქვეყანაში მდგომარეობა გამოსწორებულია, საზოგადოებრივი უსაფრთხოება უზრუნველყოფილია, ამნისტიის გამოცხადება კი საზოგადოებას პრობლემას შეუქმნის. მათივე თქმით, სისხლის სამართლებრივი პოლიტიკის ლიბერალიზაციის მიმართულებით მოქმედებს ალტერნატიული – განრიდების, პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების და შეწყალების მექანიზმები, რასაც სისტემატური გამოყენების ხასიათი აქვს.

თორდიამ და კუბლაშვილმა ყურადღება ამნისტიის აქტის გამოცემის პოლიტიკურ მხარეზეც გაამახვილეს და აღნიშნეს, რომ „ეს ნაბიჯი პოლიტიკური მიზნებისა და პოლიტიკური კეკლუცობის გამო არ უნდა გადაიდგას“. ამ კონტექსტში თორდიამ ისიც აღნიშნა, რომ ყოველი არჩევნების წინ ამნისტიის მოლოდინი საზოგადოებაში დაუსჯელობის სინდრომს დაამკვიდრებს.

თავად კანონპროექტის ავტორმა ჯონდი ბაღათურიამ უმრავლესობას დღეს კომპრომისული წინადადებითაც მიმართა და შესთავაზა, პროექტში გაწერილი სისხლის სამართლის კოდექსის ის კონკრეტული მუხლები დაეფიქსირებინათ, რომელთა ამნისტირებაც კრიმინოგენული თვალსაზრისით ქვეყანაში საფრთხეებს შექმნიდა და პროექტიც ასეთი მუხლების გარეშე მიეღოთ.

პირველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოზონოთერაპიის სასწაულები

## ჩვენი რუბრიკის სტუმარია პირველი ოზონოთერაპიის კლინიკა „აინოს" დამფუძნებელი ადა მჭედლიძე



*– ქნო ადა, ცოტა რამ თქვენ შესახებ გვიამბეთ.*

– ბავშვობიდანვე ვიცოდი, რომ ექიმი უნდა გავმხდარიყავი. პირველი შეხება ადამიანის სიცოცხლესთან 16 წლის ასაკში მქონდა. იმ პერიოდში სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში მოსახვედრად აუცილებელი იყო სანიტრად მუშაობის ორწლიანი სტაჟი. ჩემი პირველი ნაცნობობა მედიცინასთან ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრში შედგა. იქ შვიდი საოპერაციო ბლოკია, სადაც ვიყავით 7 აბიტურიენტი გოგონა. ეს ორი წელი ჩემს ცხოვრებაში უბედნიერესი ხანა იყო. პრაქტიკული მოღვაწეობა პირველივე დღიდან დავიწყე, უამრავ ცნობილ ექიმთან ერთად მიწევდა მუშაობა და როცა ისინი საოპერაციოში შედიოდნენ, მათ ვაცმევდით სტერილურ ხალათებს, შემდეგ ვესწრებოდით ოპერაციებს.

თავიდანვე გადაწყვეტილი მქონდა, რომ ბავშვთა ექიმი უნდა ვყოფილიყავი. დავამთავრე სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიის ფაკულტეტი. მინდა აღვნიშნო, რომ თეორიული ბაზისი არ არის რუტინა და მომაბეზრებელი პროცესი. მის გარეშე პრაქტიკული მოღვაწეობა წარმოუდგენელია. ამას მოჰყვა ქორწინება, შვილები. თუმცა, ამის მერე იყო ტრაგიკული პერიოდი ჩემს ცხოვრებაში. გარდამეცვალა მეუღლე, როცა მესამე ბავშვზე 9 კვირის ფეხმძიმე ვიყავი. სამი ბიჭი მყავს. ჩემმა მამამთილმა გადაწყვიტა, რომ რაღაც პერიოდი ჩემთვის შეემსუბუქებინა ეს ხვედრი და ცოტა ხნით საცხოვრებლად გერმანიაში გაგვაგზავნა. ვიყავით ბავარიის მხარეში, ქალაქ მიუნხენში, მაგრამ იქ ყოველთვის გიჩნდება განცდა, რომ იმ ქვეყანაში ხარ უცხო, სტუმარი და როდესმე უნდა დაბრუნდე სამშობლოში, მით უმეტეს, როცა ასეთი სამშობლო გაქვს. ვიცოდი, რომ აუცილებლად დავბრუნდებოდი საქართველოში და გავაგრძელებდი ჩემს მოღვაწეობას. ყველა მეგობარი ექიმი მყავს და მსურდა ჩემი პატარა კლინიკის გახსნა, თუმცა არც ერთ კოლეგასთან დაპირისპირება არ მინდოდა, ამიტომ დავიწყე თავისუფალი ნიშების ძებნა ქართულ სამედიცინო ბაზარზე. ერთ-ერთი ასეთი აღმოჩნდა ოზონოთერაპია. პირველი, ვინც აღწერა ოზონი, იყო გერმანელი მეცნიერი შონბაინი. პირველი ოზონოთერაპიის კლინიკაც სწორედ ბერლინში გაიხსნა 1898 წელს. უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიაში ამ დარგში რამდენიმე თასი კლინიკა მუშაობს. ის ფართოდ არის გავრცელებული ევროპის სხვა ქვეყნებშიც. ერთ-ერთ მათგანში მომიწია მუშაობა და მაშინ გამიჩნდა იდეა, რომ ასეთი ტიპის კლინიკა ყოფილიყო საქართველოშიც. გავუზიარე მეგობრებს, კოლეგებს და ახლა ჩვენ ერთად ვმუშაობთ, სულ 12 თანამშრომელი ვართ.

*– როდის გაიხსნა კლინიკა „აინო"?*

– ოფიციალური გახსნა 2011 წლის 21 სექტემბერს გვქონდა, ღვთისმშობლობას, 21 სექტემბერი „აინოს" დაბადების დღეა.

*– რაში გამოგადგათ უცხოური გამოცდილება და რატომ ითვლება ოზონოთერაპია ელიტური მედიცინის დარგად?*

– ოზონოთერაპია ევროპის ელიტურ მედიცინად მოიაზრება. თვით გერმანიაშიც კი, სადაც სამედიცინო დაზღვევა სამედიცინო ხარჯებს სრულად ანაზღაურებს. ოზონოთერაპიას სადაზღვევო კომპანიები არ ანაზღაურებენ. პაციენტს უხდება საკუთარი ჯიბიდან, დაახლოებით 4000 ევროს გადახდა და ისინი თანახმა არიან. თუმცა, ეს თანხა ჩვენთან ათჯერ ნაკლებია. შეიძლება ითქვას, რომ ოზონოთერაპია უალტერნატივო თერაპიაა. იგი გზას უხსნის თვითგაჯანსაღების გზებს. თუმცა, ჩვენთან ეს მარტო ელიტურ ფენაზე არაა გათვლილი, არამედ საშუალო ფენაზეც. ჯერ კიდევ 2001 წელა იბეჭდებოდა, რომ დიდი ბრიტანეთის დედა-დედოფალს კვირაში ერთხელ უკეთებდნენ ოზონის ინექციას. მან 101 წელი იცოცხლა სრული გონებით და აბსოლუტურად აქტიური იყო. ნიკ ნოლტმაც აღიარა ლარი კინგის შოუში, რომ იგი მთელი ცხოვრების მანძილზე იკეთებს ოზონს. პამელა ანდერსონმა დაადასტურა, რომ ც ჰეპატიტი მოირჩინა სწორედ ოზონით, ვიქტორ იუშჩენკოს სახის დეფექტი გაუსწორეს ოზონით, მას ასევე იყენებდნენ – სოფია როტარუ, ჯორჯ ბუში მამა, ჰენრი კისინჯერი, ალან გრინსპენი და მრავალი სხვა ცნობილი ადამიანი.

სექტემბრიდან ვაპირებთ შემოვიღოთ კონტრაქტი განკურნებაზე. ამ დღეებში ველოდებით საბოლოო შედეგებს, განსაკუთრებით ეს ეხება ც ჰეპატიტის ვირუსს. ადამიანის ორგანიზმიდან ამ ვირუსის სრულად გამოდევნას 4-დან 6 თვემდე სჭირდება. როგორც კი დაიდება საბოლოო შედეგები, ანუ სისხლში ვირუსმატარებლობა მოისპობა, ჩვენ გავაკეთებთ კონტრაქტს განკურნებაზე. ასეთი სულ 30-მდე დიაგნოზი იქნება. კონტრაქტი განკურნებაზე – ეს არ არის მდგომარეობის გაუმჯობესება, ან დროებით მიღწეული რემისია. ეს არის სრული გამოჯანმრთელება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჰონორარს უკან დავაბრუნებთ.

*– თქვენ ბრძანდებოდით საერთაშორისო კონგრესზე უკრაინაში, რას გვეტყვით ახალს?*

– ამა წლის 3-5 მაისს ოდესაში ჩატარდა ოზონოთერაპევტთა მე-5 საერთაშორისო კონგრესი, რომელსაც მეც ვესწრებოდი. აქ იყვნენ მეცნიერები მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან. ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ესპანეთიდან, თურქეთიდან, ეგვიპტიდან, რუსეთიდან, უკრაინიდან და უკვე საქართველოდანაც, ოზონოთერაპიის გეოგრაფია ფართოვდება და ეს მისასალმებელია.

კონგრესზე წარმოდგენილი იყო მრავალი საინტერესო პრეზენტაცია და უამრავი სიახლე. ოზონოთერაპია ვითარდება, როგორც მედიცინეს ერთ-ერთი დამოუკიდებელი დარგი და მას აქვს უზარმაზარი პოტენციალი მრავალ ე.წ. „უკურნებელ დაავადებასთან" ბრძოლის ასპექტში. ოზონოთერაპიას არა აქვს გვერდითი მოვლენები და ც ჰეპატიტების მკურნალობისას შემთხვევათა 80-85%-ში მიიღწევა სრული რემისია, ანუ სისხლში ვირუსმატარებლობა ისპობა. ოზონთან კონტაქტისას იღუპება ნებისმიერი ვირუსი, ბაქტერია და სოკო. ყველა ეს მიკროორგანიზმი, რომელიც ადამიანის სისხლში პარაზიტობს და აზიანებს მას, ანაერობია, ანუ მათ არ უყვართ ჟანგბადი. ოზონი კი ჟანგბადზე 1400-ჯერ აქტიურია.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ოზონოთერაპიას ალტერნატივა არ გააჩნია. ეს არის სისტემური თერაპია, რომელსაც არსებობის საუკუნოვანი ისტორია აქვს.

ოზონი ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ანტიოქსიდანტია, იგი ანადგურებს ნებისმიერ პათოგენურ მიკროფლორას (ვირუსებს, სოკოებს, ბაქტერიებს). ოზონი აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას და ამცირებს არტერიულ წნევას, ოზონი კლავს ჰერპესისა და ჰეპატიტის ვირუსებს, ართრიტის გამომწვევ მიკროორგანიზმებს. ოზონი წმენდს კანს, ჟანგბადით ამდიდრებს ჰემოგლობინს, ხსნის კუნთების ტკივილს, ებრძვის ბრონქების ქრონიკულ დაავადებებს, ასთმას და ალერგიას, აუმჯობესებს საჭმლის მონელებას, წმენდს ღვიძლს, წვავს ცხიმებს, ამცირებს სტრესს, ოზონოთერაპიის გამოყენების სპექტრი ძალიან დიდია – ოზონოთერაპია წარმატებით გამოიყენება კარდიოლოგიაში – გულის იშემიური დაავადების, ჰიპერტონიის, რევმატიზმისა და რევმატოიდული ართრიტების მკურნალობისას, პულმონოლოგიაში – ქრონიკული ბრონქიტების, ბრონქული ასთმის და ტუბერკულოზის წინააღმდეგ, გასტროენტეროლოგიაში – ქრონიკული გასტრიტის, კუჭის წყლულის, კოლიტის, გასტროდუოდენტის, ქოლეცისტიტის, პანკრეატიტის სამკურნალოდ, უროლოგიაში – ცისტიტების, პიელონეფრიტის, გლომერულონეფრიტის სამკურნალოდ, პოტენციის დაქვეითებისას. გინეკოლოგიაში – საშვილოსნოს ყელის ეროზიების დროს, ორსულთა ანემიის და ნაყოფის ჰიპოქსიის სამკურნალოდ, ნევროლოგიაში – თავის ტვინის სისხლძარღვების ათეროსკლეროზის, ქრონიკული დაღლილობის სინდრომის, შაკიკის წინააღმდეგ. ოზონოთერაპიით საუკეთესო შედეგები მიიღწევა და ც ჰეპატიტების მკურნალობაში.

ოზონოთერაპიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია ის, რომ პაციენტს არ სჭირდება დაელოდოს კურსის დასრულებას. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა უმჯობესდება პირველივე პროცედურიდან, როგორც მისი სუბიექტური შეგრძნებების, ასევე ანალიზების მიხედვით. უმჯობესდება პაციენტის ცხოვრების ხარისხი ნებისმიერი დიაგნოზის შემთხვევაში. თერაპიას არა აქვს გვერდითი მოვლენები, არის აბსოლუტურად უსაფრთხო, ოზონოთერაპიას არ ჰყავს უკმაყოფილო პაციენტი უკანასკნელი 40 წლის განმავლობაში. როგორ შეიძლება ჟანგბადი, რომელიც სიცოცხლის საფუძველია, სასარგებლო არ იყოს ადამიანისათვის?

**ნანა დადიანი**

# უნდა წავიდეს თუ არა ნაცმოძრაობა პოლიტიკიდან?

## „ჰილარი კლინტონისგან კრიტიკული განცხადებები ვერ შევამჩნიე"

თამარ ნინიძე

**ეროვნულ-დემოკრატები ტრადიციას არ ღალატობენ და ნატოში საქართველოს შესვლის აუცილებლობაზე ამახვილებენ ყურადღებას. ედპ-ის მთავარი კომიტეტის წევრი გოგა გოგნიაშვილის ჰილარი კლინტონის შეხვედრის დროს სააკაშვილთან მისი მკაცრი ტონი და კრიტიკა არ შეუმჩნევია. „ახალი თაობა" გოგა გოგნიაშვილს ამ ვიზიტის შესახებ ესაუბრა.**

*– როგორ შეაფასებთ ამერიკის სახელმწიფო მდივან ჰილარი კლინტონის ვიზიტს საქართველოში?*

– ეს ძალიან მნიშვნელოვანი ვიზიტი იყო. დიდი პოლიტიკური მოვლენაა ამერიკის სახელმწიფო მდივნის ჩასვლა ამა თუ იმ ქვეყანაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ამ ვიზიტის შედეგები. მან კიდევ ერთხელ დაადასტურა ამერიკის მხარდაჭერა საქართველოსადმი, გაიმართა სემინარი ამერიკა-საქართველოს ქარტიასთან დაკავშირებით. იყო ძალიან მნიშვნელოვანი მესიჯები, რომ საქართველოს ისევ აქვს მხარდაჭერა ამერიკის მხრიდან ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით. იყო მოთხოვნა, რომ რუსეთმა დაიცვას ის ხელშეკრულება, რომელზეც მან ხელი მოაწერა. იყო პირობა იმისა, რომ ევროატლანტიკურ გზას, რომელზეც დგას საქართველო, წინ არაფერი აღუდგება, თუ ქვეყანა გააგრძელებს დემოკრატიული გზით სიარულს და დიდი მნიშვნელობა ექნება 2012-13 წლების არჩევნებს. თუ ეს არჩევნები ჩატარდა მართლაც დემოკრატიულად და თავისუფალ გარემოში, მაშინ საქართველოს გაწევრიანებას ევროპულ სტრუქტურებში ვერაფერი შეეწინააღმდეგება. თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულება ისევ დღის წესრიგშია და იქმნება კომისია, რომელიც ამ საკითხებზე იმუშავებს. ასევე იყო საუბარი თავდაცვისუნარიანობის გაზრდაში დახმარებაზე, იყო საუბარი სხვადასხვა ტიპის საფრენი საშუალების მოდერნიზაციაზე, რომელმაც საზღვარი უნდა გააკონტროლოს. დახმარება კვლავ იქნება საქართველოს შეიარაღებული ძალების მიმართ, რომ საერთაშორისო მისიებში მიიღონ მონაწილეობა და შეძლონ საკუთარი ქვეყნის დაცვა. ეს ყველაფერი მეტყველებს იმაზე, რომ ამერიკა სრულფასოვან პარტნიორად განიხილავს საქართველოს. მის ინტერესებში შედის ძლიერი სახელმწიფოს ჩამოყალიბება. დანარჩენი ჩვენზეა დამოკიდებული, რამდენად სწორად გავაგრძელებთ რეფორმებს.

*– შეამჩნიეთ თუ არა კრიტიკული განცხადებები ამერიკის სახელმწიფო მდივნის გამოსვლის დროს ჩვენი ხელისუფლების მისამართით?*

– კრიტიკული განცხადებები ვერ შევამჩნიე. ერთადერთი, რაც დავინახე, იყო მათი სურვილი და მზაობა, დაგვეხმარონ ნორმალური არჩევნების ჩატარებაში. 2012-13 წლების არჩევნები დემოკრატიის კუთხით უნდა იყოს ყველაზე განსხვავებული. იყო მინიშნება იმაზე, რომ თუ გინდათ აშშ-სთან მეგობრობა და ევროპის ცივილიზებულ ოჯახში გაწევრიანება, ეს უნდა შეძლოთ და არც ამაზე უნდა გაჩერდეთ. დემოკრატია არც ერთ ქვეყანაში არ არის შემდგარი საქმე. ის განახლებადი უნდა იყოს მუდმივად და მსოფლიოს გამოწვევებთან შესაბამისობაში უნდა იყოს ქვეყანა. ამ გზაზე სიარულისკენ მოგვიწოდა კლინტონმა. ეს არ არის კრიტიკა, პირიქით, ეს არის შეძახილი იმისა, რომ ქვეყანა ნორმალურ გზაზე გავიდეს.



*– რას გულისხმობდა ჰილარი კლინტონი დემოკრატიულად ხელისუფლების გადაცემაში?*

– ეს ხომ პირველი შემთხვევა არ არის. ეს ობამამაც თქვა ოვალურ კაბინეტში შეხვედრის დროს და ყველა ნორმალური დიპლომატი ამ ენით საუბრობს. ცივილიზებული გადაცემა ნიშნავს იმას, რომ უნდა მოხდეს ხელისუფლების შეცვლა არჩევნების გზით. ხალხმა უნდა აირჩიოს ახალი პარლამენტი და პრეზიდენტი. სხვა არაფერი ყოფილა, მაგალითად, მიშა, წადი და ვილაცა მოდის, ასეთი გზავნილები არ შემინიშნავს. მომხრე ვარ იმისა, რომ ეს ხელისუფლება შეიცვალოს, მაგრამ უნდა მოხდეს დემოკრატიის გზით. თუ დემოკრატიულად მოიპოვა ხელისუფლებამ უმრავლესობა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამის წინააღმდეგი კლინტონი ან რომელიმე ჩვენი დასავლელი მეგობარი იქნება. ჩვენი, ედპ-ს სურვილია, მონათესავე პარტიებმა ავიღოთ უმრავლესობა. კლინტონის განცხადება არ ნიშნავდა იმას, რომ ნაცმოძრაობა უნდა წავიდეს და გაქრეს ამ ქვეყნიდან.

*– ეროვნულ-დემოკრატები და მემარჯვენეები გადიხართ რეგიონებში და ხვდებით მოსახლეობას. საინტერესოა, თქვენს შემთხვევაში როგორია შთაბეჭდილებები ამ შეხვედრებიდან?*

– დავინახეთ ბევრი პრობლემა უფრო ახლოდან, ვიდრე გარედან ჩანს. როცა პირადად ვხვდებით ადამიანებს, მთელი რიგი პრობლემები თვალნათელი ხდება. ჩვენს იდეებს კარგად იღებს მოსახლეობა და ჩვენი ესმით. ჩვენი განახლებული წინასაარჩევნო პროგრამა კარგად მივიდა ამომრჩევლამდე. სხვადასხვა რეგიონში ორმოცდაათამდე შეხვედრა გვქონდა. არ მახსოვს შემთხვევა, რომელიც გულცივი და უინტერესო იყო. ჯანდაცვა, დასაქმება, ახალი ინიციატივა დიასახლისის სტატუსზეც – ამ ყველაფერმა ცხოველი ინტერესი გამოიწვია. ის, რაზეც ვლაპარაკობდით, რომ ქვეყანა არ შეიძლება მხოლოდ შავ და თეთრ ფერებში და ორ პოლუსად გაყოფილი იყოს, მართლაც ასე გამოჩნდა, მოსახლეობას მრავალფეროვნება სურს და არ უნდა, ხელისუფლებამ ან რომელიმე მილიარდერმა თავისი შეხედულებები თავს მოახვიოს. მათ სხვა აზრების, ინიციატივების გაგება უნდათ.

*– სოფელ-სოფელ სიარულის დროს ახალმა მემარჯვენეებმა დაინახეს, რომ სოფლებში წყალი, ფაქტობრივად, არ არის და ეს არ იყო ოცდამეერთე საუკუნის ქართული სოფლები. თქვენ რა პრობლემებზე ამახვილებთ ყურადღებას, კიდევ რა არის გასაკეთებელი?*

– არის სოფლები, სადაც წყალმომარაგების სისტემები არ მუშაობს, კიდევ ბევრი სოფელი რჩება გზის გარეშე. დასავლეთ საქართველოს სოფლებში შარშან დიდი პრობლემა იყო და წელსაც იგივე პრობლემაა ამერიკული პეპელა, რომელიც მოსახლეობას მოსავალსა და მცენარეებს უნადგურებს. თუ ხელისუფლება ამაში არ ჩაერევა, მხოლოდ მოსახლეობას უჭირს მასთან გამკლავება. დევნილებს აქვთ პრობლემები. ჩვენ ვიყავით წყალტუბოში. კი, რამდენიმე ახალი კორპუსი აშენდა, დევნილების ნაწილს უკეთესი პირობები შეექმნა, მაგრამ ბევრს ჯერ კიდევ რთულ პირობებში უხდება ცხოვრება. ზოგს დენი აქვს ჩაჭრილი, ზოგს წყალი არა აქვს. სოფლებში მალე საზაფხულო სამუშაოები დაიწყება. ძვირია საწვავი. ყველაზე დიდი პრობლემა დასაქმებაა, იმიტომ რომ ბევრი ადამიანია დაუსაქმებელი ქვეყანაში, ასევე ჯანდაცვის ხელმისაწვდომობაც პრობლემაა. მთავრობა ბევრი ადამიანის დაზღვევას აპირებს – უნარშეზღუდულების, ხუთ წლამდე ბავშვების, 67 წელს ზემოთ პენსიონერების. ბევრი ადამიანი რჩება დაზღვევის გარეშე. მისთვის ახალგახსნილი საავადმყოფო ლამაზი შენობაა და მას იქ მკურნალობა არ შეუძლია სიძვირის გამო. ჩვენი ინიციატივაა, რომ ყველა ადამიანი უნდა იყოს დაზღვეული. ეს არის ამ ადამიანების ძირითადი მოთხოვნა. ჩვენ დავინახეთ არა მარტო პრობლემები, არამედ მათი გადაჭრის გზები გვაქვს დასახული და ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მათი განხორციელება გვინდა.

ნონა ცაბაძე

# სანდრო ბრეგაძე: „ქართველები არასდროს ჰგავდნენ ჰილარი კლინტონს“

**ქუთაისში დიდი ზარზეიმით გახსნილი ახალი პარლამენტის შენობა ხუხულასავით დაგვემხო თავზე. ეს მოსალოდნელიც იყო, ისეთი ტემპებით აშენდა. სამწუხარო ის არის, რომ ამ ყველაფერს მსხვერპლი მოჰყვა.**

ეს არის ხუხულების ქვეყანა, რომელსაც გარე ფასადი აქვს, ხოლო შიგნით აბსოლუტურად ყველაფერი უხარისხოა, -აცხადებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში სანდრო ბრეგაძე.

სანდრო ბრეგაძე:

– ყველა საქმეს აქვს თავისი წესი, რიგი და დრო, ისევე, როგორც მშენებლობას. აქედან გამომდინარე, როდესაც ასე ძალიან აჩქარებ მშენებლებს და არ აცდი იმას, რომ სამშენებლო მასალები დალაგდეს, ბეტონი გაშრეს, წებო გაშრეს, რა თქმა უნდა, აუცილებლად მოსალოდნელი და ლოგიკურია ის, რომ ყველაფერი თავზე დაგემხოს. ძალიან სამწუხაროა, რომ ასეთი ტრაგედია მოხდა, მაგრამ უფრო ცუდია, რომ ასეთი თავქარიანი ადამიანები არიან ხელისუფლების სათავეში. ეს ხალხი ბავშვობის დროინდელი ოცნებების ასრულებით არიან გართულნი და ამასობაში ქვეყანა თავზე ჩამოგვენგრა. ეს არის საშინელება, რომელი საშინელებაც, ჩვენდა სამწუხაროდ, გრძელდება და თუ ეს არ შევაჩერეთ, მაშინ არა თუ კატასტროფა, არამედ მთლიანად ერის გადაშენება გარდაუვალი იქნება. ეს არ არის მარტო შენობის ჩამონგრევა, ეს არის თვითონ სისტემის და მოდელის დანგრევა და ერთგვარი ნიშანი იმისა, რომ ეს ყველაფერი სწორედ დაინგრევა და ამ ნანგრევების ადგილზე აღარაფერი დარჩება. ღმერთი გვეუბნება, რომ ამ ადგილას არ ააშენო არაფერიო და ღმერთს ეწინააღმდეგებიან. ჯერ ერთი ტრაგედია მოხდა, ახლა მეორე და შესაძლოა, კიდევ მოხდეს. მე არ ვიცი, რა დააშავა ქართველმა ხალხმა იმის ფასი, რომ ასეთი საშინელი ხალხის მმართველობაში იცხოვროს. ამ ყველაფერს სასწრაფოდ სჭირდება შეჩერება.

*– შეჩერებაო აცხადებთ, მაგრამ ჩანს ძალა, ვინც ამათ შეაჩერებს?*

– ყველანაირი მეთოდი უნდა გამოვიყენოთ, რასაკვირველია, არაძალადობრივი. მათი შეჩერება უნდა მოხდეს აქციების გზით, მანიფესტაციებით, მათი შეჩერება შესაძლებელია მშვიდობიანი რევოლუციის გზით, მოკლედ, როგორც გნებავთ, ისე იყოს, ოღონდ ეს ყველაფერი უნდა შეჩერდეს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, თუ ეს არ შეჩერდა, მაშინ ჩვენ მივიღებთ სავალალოზე უფრო უარეს შედეგებს. ჩვენ თვითონვე ვიქნებით იმის მონაწილენი, რაც აქ მოხდება. თავის დროზე რომ მომხდარიყო ამ ხელისუფლების ცვლილება, როდესაც 300 ათასი კაცი იყო მიტინგზე შეკრებილი, მერწმუნეთ, რომ ოსეთის და აფხაზეთის აღიარება რუსეთის მხრიდან არ მოხდებოდა. სამწუხაროდ, ვერც პოლიტიკურმა ლიდერებმა და ვერც ხალხმა ვერ მოახერხა ხელისუფლების ცვლილება. დღეს ჩვენ ისეთ გასაყარზე ვდგავართ, რომ თუ ეს ცვლილებები არ მოხდა, შეიძლება იმაზე უარესი სიტუაცია მივიღოთ, ვიდრე ეს 2008 წელს იყო.

*– დღეს ხელისუფლება ცდილობს, ცივი ომის ეპოქაში დაგვაბრუნოს. ხალხს აუკრძალეს როგორც ნეიტრალური ტელევიზიის, ისე რადიო სადგურების მოსმენა... რის მიღწევას ცდილობენ და რას მიიღებენ საბოლოო ჯამში?*

– სამაგიეროდ, 37 მანეთად თვითმფრინავით ფრენა იქნა დასაშვები. მალე, ალბათ, რადიო თავისუფლებას და რადიო ამერიკის ხმას ჩაახშობენ. საბჭოთა კავშირის ჰიმნს აღადგენენ, ციხეები ხომ ისედაც სავსეა უდანაშაულო პატიმრებით და ჩვენ ვიქნებით საბჭოთა კავშირში. ეს ყველაფერი კი არის დასავლეთის პოლიტიკური ლიდერების ბრალი, რომლებიც პირდაპირ ხელს უსვამენ თავზე არსებულ ხელისუფლებას. მე მართლა გულწრფელად მაინტერესებს, ალბათ, ქალბატონ კლინტონს სხვა რამ ჰგონია ან სხვაგვარად მიაჩნია ცნება დემოკრატია. როდესაც ადამიანი ჩამოვა საქართველოში და იტყვის, აქ დემოკრატია არის, ამ ადამიანს ან სხვა რამ ჰგონია დემოკრატია, ან დაგცინის და გვამასხარავებს. იმიტომ, რომ ამ ქვეყანაში თუნდაც 1%-იანი ნიშანწყალიც კი არ არის დემოკრატიის. ამას გარდა, ამაზრზენი, საშინელი და საოცრად მდაბიური სანახაობაა ის, რაც მოხდა ჰილარი კლინტონის ვიზიტისას. კი ბატონო, არავინ არ უარყოფს იმას, რომ ამერიკა არის საქართველოს მეგობარი ქვეყანა და კარგი ურთიერთობები გვჭირდება. მე პირადად ვარ დასავლური ფასეულობების მატარებელი ადამიანი და ეს კარგად ვიცი, მაგრამ, როგორ მონა თავის პატრონს, როგორც ყმა თავის ბატონს, ისე როდესაც ხვდები უცხო ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრს, ამ შემთხვევაში სახელმწიფო მდივანს, ეს მეტყველებს იმაზე, რომ ქვეყანაში არანაირი დამოუკიდებლობა არ არსებობს! როგორც ძველად რუსის მეფის ნაცვალს ხვდებოდნენ, როგორც ცენტრალური კომიტეტის მდივნებს ხვდებოდნენ, იგივე ხდება დღევანდელ დღესაც. ეს არის ამაზრზენი და ეს არის საშინელი. სწორედ ეს უნდა შეჩერდეს პირველ რიგში. რას ჰგავდა სააკაშვილის სიტყვები – ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ თქვენ მოგაწონოთ თავი. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ თქვენი იმედები გავამართლოთ, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ თქვენ დაგემსგავსოთ. ძველი ქართველები თქვენნაირები იყვნენო. ჯერ ერთი, იმდენიც არ იცის, რომ კოლხები იყვნენ ჟღალთმიანები და არა ქართველები. ჟღალთმიანი კი ნიშნავს წითელ თმას და არა ქერა თმას. ვთქვათ, ეს არ იცის, მაგრამ როდესაც ეუბნება, გვინდა თქვენნაირები ვიყოთო... კი ბატონო, თვითონ წავიდეს და ვისაც უნდა, იმას დაემსგავსოს, გინდ ამერიკელს, გინდ სომეხს, გინდა უზბეკს და თუ გინდაც, ჩინელს. მე ვარ ამ ქვეყნის შვილი! ჩემი უნიკალური კულტურით და მე არასდროს, არავის ქედს არ მოვუხრი და არასოდეს არავის ანგარიშს არ ჩავაბარებ! არასოდეს არავის არ ვეტყვი, რომ მე მინდა შენ დაგემსგავსო. თუ უნდა თვითონ დამემსგავსოს მე! იმიტომ, რომ ათასჯერ დიდი კულტურა და ათასჯერ დიდი სულიერი ფასეულობები მაქვს.

*– სამწუხაროდ, მათ აინტერესებთ ეს სულიერი ფასეულობები...*

– აი, ეს არის ზუსტად, რაც გვღუპავს და რის გამოც ხელს უსვამენ არსებულ ხელისუფლებას. კარგად იციან, რომ რაც უფრო კარგად შეუძვრებიან, ხელს უფრო მეტად გადაუსვამენ და გადარჩებიან. სწორედ ასე ხდება ამ შემთხვევაშიც. ეს არის ამაზრზენი და ეს არის ერის დეგრადაციის დასაწყისი და ქართველმა ერმა ეს უნდა შეიგნოს. კი გასაგებია ჩემთვის, რომ 200 წლის განმავლობაში რუსული იმპერიის ბატონობის ქვეშ იყვნენ და ერთმანეთს ასწრებდნენ სხვის სარეცელში ჩახტომას, ჯერ თავადები, შემდგომში ჩინოვნიკები, მერე კომუნისტური ეპოქის მალალჩინოსნები და ასე შემდეგ. გასაგებია, რომ სახელმწიფოებრიობა ამ ხალხმა არ იცის და თავმოყვარეობაც დაკარგული აქვს. სააკაშვილი ვინ არის? ის არის კლასიკური ტიპის ძველი დროის თავადი, რომელიც თავის ოჯახის წევრებს რუსულს ასწავლიდა და მისთვის რუსული იმპერიალიზმი იყო სათაყვანებელი რამ. სააკაშვილი ვინ არის? სააკაშვილი გახლავთ 30-იანი წლების ბოლშევიკი, რომლისთვისაც არა მამული და სარწმუნოება არის მთავარი პრინციპი ცხოვრებაში, არამედ მისთვის მთავარია კომუნისტური პრინციპები და რუსული იდეოლოგია. ის არის ადამიანი, რომლისთვისაც ინგლისური ენა უფრო მშობლიურია, ვიდრე ქართული ენა. ეს არის ამ ხელისუფლების არსი. ეს ხომ გაგრძელებაა იმ ნეობოლშევიკებისა და მანამდე რუსეთის იმპერიის მეხოტბეებისა. თქვენ რა გგონიათ, ხვალ რომ რუსები შემოვიდნენ აქ ქვეყნის მმართველად და ასევე ბიზნესელიტის უმეტესობა, მაგალითად, რედისონს სახელს გადაარქმევს და ჟემჩუჟინას დაარქმევს, ინგლისურ სახლს გადაარქმევს და სლავიანსკი დომად გადააქცევს. ამათ ხომ პრინციპები არა აქვთ, ესენი ხომ ხალხი არ არიან. ესენი ხომ ჯოგი არიან, რომელსაც უნდა მხოლოდ და მხოლოდ სალაფავი, რომ ეს სალაფავი თქვლიფონ და სხვა არაფერი ანაღვლებთ. კიდევ კარგი, ჩვენდა საბედნიეროდ, არსებობს ქართველი ერის დიდი ნაწილი, რომლისთვისაც მამული, ენა, სარწმუნოება, ეროვნულობა და ვაჟკაცობა უდიდეს პრინციპებს წარმოადგენს და ამ პრინციპებს არ გადაუხვევს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ჯოგი დიდი ხანია ხელისუფლებაშია, მე დარწმუნებული ვარ, რომ ეროვნულობის გამარჯვება გარდაუვალი პროცესია. დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ მთელი ევროპა ეროვნულობის რელსებზე გადადის. ევროპა ილვიძებს, ევროპამ მშვენივრად იცის, რომ კულტურათა აღრევა გამოიწვევს იმ მრავალფეროვნების, იმ სილამაზის დაკარგვას, რომელი სილამაზეც აქვს ამა თუ იმ ქვეყანას ცალცალკე. მე საფრანგეთში ფრანგული კულტურა მიყვარს, აფრიკაში-აფრომამერიკული კულტურა, გერმანიაში-გერმანული და ა. შ. ქართველმა ერმა უნდა შეძლოს ის, რომ თავის თვითმყოფადობა, თავის ნაციონალიზმი, კულტურა და რელიგია განავითაროს, შეინარჩუნოს და ამითი თავის უნიკალურობა დაამტკიცოს. და არა ისე, როგორც გუშინ და გუშინწინ ჩვენ ვნახეთ ჩვენი ქვეყნის მმართველები, როგორც ყაენის კარზე მისული მონები, ისე ელაქუცებოდნენ უცხო ქვეყნის ერთ-ერთ პოლიტიკურ ლიდერს. ჩვენ უნდა შევძლოთ ჩვენი საქმის გაკეთება და ყველასთან უნდა გვქონდეს მეგობრული და თანასწორუფლებიანი ურთიერთობა. თუ ვინმეს კიდევ ყმობა და მონობა უნდა, მოაწეროს ხელი კიდევ ერთხელ გეორგიევსკის ტრაქტატს და მაშინ საქართველო საბოლოოდ დაიღუპება.

*– ამ ვიზიტის შემდეგ ხელისუფლებამ უფრო მკაფიოდ გამოაჩინა ბრჭყალები, ეტყობა მობეზრდათ დემოკრატიულობანას თამაში...*

– ეს მოსალოდნელიც იყო. როდესაც ციხეები სავსეა უდანაშაულო ხალხით, როდესაც იმ ციხეებში რაც ხდება, ყველამ კარგად იცის, როდესაც ნებისმიერ წუთს შეუძლიათ ხელი წაგავლონ და შეგაგდონ ციხეში, როგორც შარშან მე გამიკეთეს და ამას ყველაფერს დემოკრატიას ეძახი, რა თქმა უნდა, ყველაფერი მოსალოდნელია. ტელევიზიებიც დაიხურება, რადიოების მოსმენაც აიკრძალება და სულ მალე შეიძლება ყველას გვაიძულონ, ჩავიცვათ ისე, როგორც აცვია ჩვენი ქვეყნის ბელადს. ან სულაც ჩრდილოეთ კორეას დავემსგავსოთ. ან სხვა რამ გავაკეთოთ, მაგალითად, პირველი ღამის უფლება დავუთმოთ ნაციონალური მოძრაობის ლიდერებს? მე არ მიყვარს ზოგადად ამ თემაზე საუბარი, მაგრამ არ არის მთელი დღე და ღამე კოცნა-ხვევნა, მტლაშა-მტლუში? – როგორც რუსთაველი იტყოდა. სიძვა დაფასებულია ამ ქვეყანაში, ასევე სარეცელის გაყოფა ბატონთან, რომელიც პრივილეგიად არის ქცეული და კიდევ ათასი უმსგავსობა და უზნეობა, რომელიც დღეს ჩვენ სახეზე გვაქვს. აქ საუბარი იმაზე კი არ არის, რომ ადამიანები, რომლებიც წარმოადგენენ სექსუალურ უმცირესობას და რომლებიც საკმაოდ ბევრნი არიან ჩვენს ხელისუფლებაში, ეს ადამიანები დავხოცოთ ან კასტრირება გავუკეთოთ. აქ საუბარია იმაზე, რომ ქვეყანაში მიმდინარეობს უზნეობის პროპაგანდა. როდესაც ყველა სფეროში ასეთი სიტუაციაა, რა თქმა უნდა, ქვეყანაში ყველაფერი უარესად იქნება. დღეს ჩემი მიზანი არის ერთი რამ, რომ დაინგრეს ეს სისტემა, ეს უალტერნატივოც არის, მთავარი ის არის, რომ ამ სისტემის ნანგრევებზე არ აღმოცენდეს ისევ ამ სისტემის პირმშო და ამ სისტემის იდეოლოგიის მატარებელი პოლიტიკური ძალები, რომლებიც კვლავ მოინდომებენ თავზე მოაჯდნენ ქვეყანას! რომლებიც კვლავ მოინდომებენ იგივე იდეოლოგიის გატარებას. დიახ, მე შემიძლია ხმამაღლა ვთქვა, ნაციონალური მოძრაობის იდეოლოგიის მატარებელი საკმაოდ ბევრია ქართულ ოპოზიციაში. შეფარული აგენტურული ქსელი, დამღუპველი პოლიტიკის გამტარებელი პოლიტიკური ძალები, რომლებსაც პირდაპირ აქვთ დავალება მიღებული, ისინი გეგმა ბ-ს ნაწილს წარმოადგენენ, რომ, როგორც კი დაინგრევა ნაციონალური მოძრაობა, იმ წუთშივე უნდა აღმოცენდნენ ისინი, რათა გააგრძელონ ის პოლიტიკა, რომელი პოლიტიკაც მამული ენის და სარწმუნოების წინააღმდეგ იქნება მიმართული. ზუსტად ამიტომ უნდა იყოს ეროვნული ძალები. ზუსტად ამიტომ უნდა იარსებოს ეროვნულმა ძალებმა, რომ როგორც შევარდნაძის დამარცხების შემდგომ ჩვენ მივიღეთ შევარდნაძის გზის გაგრძელება, ისევე სააკაშვილის დამარცხების შემდგომ და მისი სისტემის დამარცხების შემდგომ ჩვენ არ მივიღოთ შევარდნაძის და სააკაშვილის გზის გაგრძელება. თუკი არ იარსებებენ ეროვნული და პატრიოტული ძალები, მაშინ ამას აუცილებლად მივიღებთ.

*– საუბრის ბოლოს ისევ ქუთაისის პარლამენტის ჩამონგრევის ფაქტს დავუბრუნდები. უმრავლესობის მხრიდან საკმაოდ ცინიკური განცხადებები გაკეთდა ამის თაობაზე, სვეტიცხოვლის მშენებლობის დროსაც იღუპებოდა ხალხი, მაგრამ გიორგი მეფისთვის პასუხი არავის მოუთხოვიაო...*

– ან სვეტიცხოველი რა იციან, ან გიორგი მეფე რა იციან! საერთოდ რამე იციან ჩვენი წარსულის და ისტორიის შესახებ? ან საქართველო საერთოდ უყვართ? ან გენეტიკა აქვთ ქართული?! ცინიკური იცით რა არის? მე და ჩემი თაობის ბიჭები რომ ვყმაწვილკაცობდით, ამათ ყმაწვილკაცობა დაკარგული ჰქონდათ. როდესაც ჩვენ ბავშვობით ვტკბებოდით, ამათ ბავშვობა ჰქონდათ დაკარგული. დღეს გამოძვრნენ სოროებიდან და ილაპარაკებენ ასე.



# კონტროლის პალატამ ფონდ „ქართუ“-სა და ასოციაცია „ატუ“-სგან ფინანსური ანგარიშგება გამოითხოვა

კონტროლის პალატის ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა, ფონდ „ქართუ“-სა და ასოციაცია „ატუ“-სგან ფინანსური ანგარიშგება გამოითხოვა.

როგორც კონტროლის პალატის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, კონტროლის პალატამ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34/1 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ფონდ „ქართუ“-სა და ასოციაცია „ატუ“-ს 2011 წლის 1 ნოემბრიდან 1 ივნისამდე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენის მოთხოვნით წერილობით მიმართა.

განცხადების თანახმად, აღნიშნული მიმართვა „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 26/1-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების არსებობის შესახებ დასაბუთებულ ვარაუდს ეფუძნება.

განცხადებით ირკვევა, რომ ფონდი „ქართუ“ წარმოადგენს გაცხადებული საარჩევნო მიზნების მქონე ფიზიკური პირის ბიძინა ივანიშვილის კუთვნილ ორგანიზაციას.

„ამავდროულად, ფონდის დირექტორი ირაკლი ღარიბაშვილი გაცხადებული საარჩევნო მიზნების მქონე პოლიტიკური ორგანიზაციის – კოალიცია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერია, ხოლო ასოციაცია „ატუ“-ს შემთხვევაში, შპს „ბურჯთან“ და შპს „ელიტა ბურჯთან“ მისი ეკონომიკურ-ფინანსური კავშირი დგინდება, რომლებიც ასევე, ბიძინა ივანიშვილის კუთვნილი კომპანიებია, რომელთა მეშვეობით განხორციელებული პოლიტიკური დაფინანსების კანონსაწინააღმდეგო ფაქტი გამოვლენილია ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ, რაზედაც სასამართლოში სამართალწარმოება მიმდინარეობს“ – ნათქვამია განცხადებაში.

კონტროლის პალატის ინფორმაციით, აღნიშნული სუბიექტებისგან ფინანსური ანგარიშგებების გამოთხოვა მონიტორინგის კომპეტენციაში შემავალ საკითხზე გარემოებების სრულად და ობიექტურად გამოკვლევისკენაა მიმართული.

განცხადების თანახმად, ანგარიშგების გამოთხოვა კანონიერი ინტერესებიდან გამომდინარე ინფორმაციის მიღებას ემსახურება, რათა აღნიშნული სუბიექტების ფინანსური საქმიანობების ორგანული კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე გონივრული რწმუნება მიიღონ.

ნიუსპრესი

# ვახტანგ მაჭავარიანი: მამის ჩრდილიდან გამოვედი

ეკა ირემაშვილი

10 ივნისს ქართული საკონცერტო სივრცე კვლავ დაეთმობა გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის ალექსი მაჭავარიანის შესანიშნავ მუსიკას, იმ კომპოზიტორის, რომელსაც არასდროს აკლდა არც ჭეშმარიტი თაყვანისმცემლები და არც საერთაშორისო აღიარება. ბალეტი-პოემა „ფიროსმანი“, რომელიც 20 წლის მანძილზე ელოდა დღის სინათლეს და აუდიტორიასთან შეხვედრას თბილისის კონსერვატორიის დიდ დარბაზში, საკონცერტო ვერსიით პირველად შესრულდება. ალექსი მაჭავარიანის „ფიროსმანის“ პრემიერას საზოგადოებას თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად წარუდგენს მისი ვაჟი, დირიჟორი ვახტანგ მაჭავარიანი.

ალექსი მაჭავარიანის 1985 წლით დათარიღებულ ჩანაწერებში წერია: „ვეფხისტყაოსნის“ დადგმის შემდგომ საოცარი სურვილი აღმეძრა, ვიმუშაო ლირიკული მუსიკის სფეროში. ბოლო პერიოდში ჩემს სცენურ თუ სიმფონიურ ნაწარმოებებში დრამატიზმმა იძალა. ახლა ლირიკას მინდა დავუბრუნდე. უნდა განვახორციელო ჩემი დიდი ხნის ოცნება, დავწერო მუსიკალურ-ქორეოგრაფიული პოემა-სიმფონია, რომელსაც დავარქმევ „ფიროსმანს“ ან „მხატვრის ბედს“. ეს იქნება ფიროსმანის ცხოვრების საფუძველზე აგებული, ზოგადად, მხატვრის ბედზე შექმნილი თხზულება. სიუჟეტი ბოლომდე გამოკვეთილი ჯერ არ მაქვს, მაგრამ დაახლოებით ვიცი, რომ მისი გმირი ქალაქში მოხვედრილი გულლია და გულწრფელი კახელი ვაჟკაცი იქნება, რომელიც თბილის-ქალაქის ტყვე აღმოჩნდება. ვაგროვებ მასალას. დიდი სურვილი მაქვს, ძველი თბილისი ავაჟღერო არა ისე, როგორც დღეს ჟღერს – აღმოსავლური ჩუქურთმული იერით, სენტიმენტალური და სტანდარტული ბაიათური ორნამენტიკით. თბილისური ჰანგი სრულიად სხვა ჟღერადობაში მესახება – ამაღელვებელი, დარბაისლური, ქართული ესთეტიკის მატარებელი. ე.ი. აღმოსავლეთი წმინდა ქართულ ბუნებაში ტრანსფორმირებული“.

ალექსი მაჭავარიანმა ერთმოქმედებიან ბალეტ-პოემა „ფიროსმანზე“ მუშაობა 1992 წელს დაასრულა. ლიბრეტოს ავტორი თავად კომპოზიტორია. „ფიროსმანი“ დაიწერა პირდაპირ პარტიტურის სახით, მისი კლავირი არ არსებობს. ბალეტ-პოემის მუსიკა უხვად საზრდოობს თბილისური ქალაქური ჰანგებით. ნაწარმოებში ნათლად შეიგრძნობა კომპოზიტორის ერთგვარი ნოსტალგია მისივე ახალგაზრდობის პერიოდის შემოქმედებისადმი, რომელიც მკაფიოდ ვლინდება თხზულების მელოდიკასა და ჰარმონიაში. მთლიანობაში პარტიტურის მუსიკალური ენა ულტრათანამედროვეა, რაც ბალეტ-პოემა „ფიროსმანს“ ძალზე საინტერესოსა და მიმზიდველს ხდის. „ფიროსმანის“ იდეას მაშინვე დიდი ინტერესით გამოეხმაურა სანკტ-პეტერბურგის მარიას თეატრის საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელი ოლეგ ვინოგრადოვი, მაგრამ 1992 წლის მოვლენებმა ნაწარმოების სცენურ ხორცშესხმას მარიას თეატრში ხელი შეუშალა. ბალეტი-პოემა „ფიროსმანი“ დიდი მხატვრის ეპოქის თბილისის ხატებას აცოცხლებს. ნაწარმოების ქვესათაურია „ძველი თბილისის სურათები“.

„ფიროსმანის“ შექმნის ისტორიაზე „ახალ თაობას“ ვახტანგ მაჭავარიანი ესაუბრა:

– ფიროსმანი ის თემაა, რომელიც არ ბერდება და მუსიკაც არ ბერდება. ეს პოემა თბილისურ ფოლკლორზეა აგებული, რაც ალექსი მაჭავარიანის შემოქმედებისთვის არ არის დამახასიათებელი. მან გამოიყენა თბილისური აღმოსავლეთი, მაგრამ სუპერთანამედროვე პარტიტურაა, საოცრად თანამედროვე ჟღერადობებია, ეს შერწყმა თბილისური ფოლკლორისა და სუპერთანამედროვე პარტიტურისა ძალიან საინტერესოა.

***– საკმარისია ერთი დღე ფიროსმანის პრემიერისთვის?***

– რა თქმა უნდა, არა. ამას შევასრულებთ 10 ივნისს, რადიო „მუზა“ ჩაიწერს. თან ეს მაინცდამაინც საკონცერტო მუსიკა არ არის, ეს ხომ ბალეტი-პოემაა. მერე თეატრმა უნდა იფიქროს, როგორ განავრცოს ეს ნაწარმოები. თუ „ოტელო“ ან „ჭირვეულის მორჯულება“, ან „ვეფხისტყაოსანიც“ კი შეიძლება გინდ ნიუ იორკის, გინდ ვენისა და გინდ პარიზის თეატრისთვის მისაღები თემა იყოს, ფიროსმანი მსოფლიოში ცნობილი კია, მაგრამ მისი მეორე სათაური, „ძველი თბილისის სცენები“, სწორედ საქართველოს უნდა აინტერესებდეს.

***– საქართველოს პირველ რიგში ფიროსმანით იცნობენ.***

– არ დაგეთანხმებით. პირველ რიგში, საქართველოს იცნობენ მედეათი. სახვით ხელოვნებაში კი ნამდვილად ასეა – ფიროსმანი პირველია, მაგრამ მედეა ყველაზე პოპულარულია, თვით სტალინზეც კი.

***– მაგიტომ დაწერა მამამ მედეა?***

– ეს ჩემი იდეა იყო, ლიბრეტო მე დავუწერე.

***– ბატონო ვახტანგ, რა გველოდება 10 ივნისს?***

– ძალიან საინტერესო ფენომენია ის, რომ კომპოზიტორი ფიზიკურად არ არის ცოცხალი და მისი ნაწარმოები სრულდება. მამა გარდაიცვალა 1995 წლის 31 დეკემბერს, ზუსტად დღის 12 საათზე. მაინცდამაინც არ ავადმყოფობდა, მაგრამ, ვაი,



ცუდად ვარო და 84 წლის ასაკში დაილუპა. მას შეეძლო, კიდევ ემუშავა. სრულიად თავისუფლად შემიძლია ვილაპარაკო მასზე, რადგან ამ შვილობრივი დამოკიდებულებისგან გავთავისუფლდი.

***– აღარ ხართ მამის ჩრდილში?***

– არა მგონია. შემიძლია მასზე ვთქვა, რომ ეს პიროვნება, როგორც კომპოზიტორი, უნიკალური მოვლენაა ქართულ მუსიკალურ კულტურაში, ამას როგორც დირიჟორი და მუსიკოსი გეუბნებით და არა როგორც მისი შვილი. ერთი-ორი კომპოზიტორია ქართველი, რომელიც რეგულარულად ჟღერს მსოფლიო სცენებზე, ერთ-ერთი ალექსი მაჭავარიანია. მან დატოვა ისეთი შემოქმედება, რომელიც დღემდე აქტუალურია.

***– რატომ არ შედგა მისი „ფიროსმანის“ პრემიერა აქამდე?***

– ამას თავისი მიზეზები აქვს. მამა ძალიან განიცდიდა საქართველოში განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებს. როცა დაიწყო ეს პროცესები, მაშინ უკვე პარიზში ვცხოვრობდი, იქ მქონდა სპექტაკლები და ჩემმა იმპრესარიომ მირჩია, ჯობია, აქ იყო და საქართველოში საფრანგეთიდან იაროო. რომ ჩამოვდიოდი, დამიწყებდა, ეს მოხდა, ის მოხდაო. ამ ამბებს განიცდიდა, მიკვირს, როგორ არ თქვა დავასრულე ესა თუ ის ნაწარმოებიო. მარტო იმას განიცდიდა, დავკარგავთ აფხაზეთს, ვკარგავთ სამაჩაბლოსო. მამას არც ერთხელ სიტყვა სამხრეთ ოსეთი არ უხსენებია, იმიტომ რომ მამა იქ იყო გაზრდილი. აგარაკი ჰქონდათ ცხინვალში და ზაფხულობით დიდედას მიჰყავდა ხოლმე. წერს კიდეც თავისი მოგონებების წიგნში, ჩემს ბავშვობაში იქ ოსების სულ ორი ოჯახი ცხოვრობდაო.

***– თქვენც ხომ წერთ წიგნს?***

– კი,

***– დაასრულეთ უკვე?***

– არა, ჯერ არა. საკმაოდ შრომატევადი პროცესია; თან ვასწორებ რაღაცებს.

***– რაზეა წიგნი?***

– არაფერზე, ადამიანებზე.

***– რატომ ამბობდა ალექსი მაჭავარიანი უარს თავისი ნაწარმოებების რუსეთში პრემიერაზე?***

– მამასთვის ღია იყო როგორც დიდი თეატრისა და მარიას თეატრის, ასევე მრავალი სხვა თეატრის კარი. მას უკვე მიღებული ჰქონდა ლა სკალას ოქროს მედალი „ოტელოსთვის“ და პიკასოს მედალი „ვეფხისტყაოსნისთვის“. ვის აღარ ჰქონდა დაკრული მისი სავიოლინო კონცერტი, მსოფლიოს უდიდეს მევიოლინეებსა და წამყვან მაესტროს – ნადირიჟორები. გაბრაზებული იყო ძალიან რუსეთზე იმ პერიოდში. ამან იქონია სერიოზული გავლენა იმაზე, რომ არ გაუგზავნა რუსეთს ფიროსმანის პარტიტურა. როცა მამამ თქვა, მინდა, ფიროსმანის შევქმნაო, ოლეგ ვინოგრადოვმა უთხრა, მე მინდა ამის დადგმაო. ეს მამას წიგნშიც არის მოთხრობილი. თქვენ რომ ნახავთ, შუას გადასცდით, შემატყობინეთ, რომ იმის იქითა სეზონში საპრემიეროდ ჩავსვაო. მამამ ეს არ გააკეთა. მე რომ დავთანხმდი, მისვლა-მოსვლით გავმხდარიყავი ევგენი მიქელაძის სახელობის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის მთავარი დირიჟორი და დავიწყე აქ სიარული, დავრწმუნდი, რომ ისეთი ენერგიაა ამაში ჩასადები, ყველაფერს მოითხოვდა. ორკესტრი რეგულარულად და მუდმივად იყო დახურვის საფრთხისა და განადგურების წინაშე, ამიტომ მიხდებოდა ხმალამოწვდილი ბრძოლა. ამან დიდი ენერგია და დრო წამართვა და შემოქმედებითი თვალსაზრისით ვერაფრისთვის ვიცლიდი. ორკესტრს კი ვდირიჟორობდი, მაგრამ ოჯახისთვის ველარ ვიცლიდი, მამაჩემისთვის არ მეცალა. როცა დავილალე, გავბეზრდი და 2004 წლის დამლევს დავტოვე ორკესტრი, გადავედი საცხოვრებლად ბელგიაში. გადასვლის პროცესში დავიწყე სახლში რაღაცების ძებნა. გადმოვარდა „მედეას“ პარტიტურა და კლავირი, ვიფიქრე, რა ადამიანია მამაჩემი, ხომ შეეძლო, ეთქვა, ნახე, შვილო, ეს დავწერეო. ჩვენ საკმაოდ სერიოზული პროფესიონალური ურთიერთობა გვქონდა. მამამ მე მანდო თავისი წმიდათაწმიდა ბალეტის, „ვეფხისტყაოსნის“ მუსიკის პირველი შესრულება. მას შეეძლო, მსოფლიოში ცნობილი დირიჟორებისთვის მიეცა ამ ნაწარმოების პირველი შესრულება. ასევე მან მანდო თავისი მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე სიმფონიების პირველი შესრულება, ჩელოს კონცერტის, „ჭირვეულის მორჯულების“. გამოდის, რომ „ფიროსმანიც“ და „მედეაც“ მე მანდო. მიკვირდა, რატომ არაფერი მითხრა ახალ ნაწარმოებებზე. „ფიროსმანიც“ გადმოვარდა იქიდან, „მედეაც“ და გაოგნებული დავრჩი.

***– საგულდაგულოდ ჰქონდა შენახული ეს ნაწარმოებები?***

– კი, პარკში ჰქონდა ჩადებული და შენახული კარადაში. მერე ჩავუტარე კორექტურა „ფიროსმანს“. მამა მოხუცი იყო, შეიძლება, დოს დაწერა უნდოდა და ვერ წერდა სწორად, მე კი ვიცი მისი შემოქმედება ყველაზე კარგად. ზოგჯერ ისე შემოხაზავდა, ვერ მივხვდებოდი, რა ნოტი იყო. „მედეასაც“ დასჭირდა კორექტურა, მერე ეს ყველაფერი ნოტებზე გადავიტანეთ.

***– მდიდარი მემკვიდრეობა გერგოთ?***

– კი, კიდევ აღმოვაჩინე მეხუთე და მეექვსე სიმებიანი კვარტეტები, რომელიც გამოვეცი. მეხუთე ოპერის კვარტეტმა დაუკრა კიდეც. ის სულ მუშაობდა, სხვა პროცესში არც მახსოვს, სეირნობაც უყვარდა, ძაღლი გვყავდა ბოქსიორი, იმას გაასეირნებდა და გაივლიდა ხოლმე. ბევრს წერდა თავის მემუარებს, რომელიც წიგნად გამოვეცით. სულ შრომაში გაატარა მთელი თავისი ცხოვრება.

***– კიდევ რა აღმოაჩინეთ?***

– აღმოვაჩინე მესამე სონატა და დავაკონსერვე.

***– რატომ?***

– სანამ ჩემი შვილი არ გახდება, სულ ცოტა, 16 წლის, მის დაკვრას ვერ შეძლებს. თითქოს ბაბუამ მას დაუტოვა ეს ნაწარმოები, მე ასეთი ასოციაცია მაქვს, მე კი გადმომიგდო საოცარი პასი. მე ხომ მომიხდა „მედეასთვის“ პირველი აქტის ბოლო სცენის მუსიკის დაწერა. დიდხანს საგონებელში ვიყავი, ვწვალობდი და საბოლოოდ დამაწყებინა წერა. იმის მერე დავწერე სიმფონიური პოემა „ნაცარქექია“, კონცერტინოც დავწერე და საიდუმლოს გეტყვით, ახლა სიმფონიას ვამთავრებ.

რაც შეეხება მამას მიერ დაწერილ მესამე სონატას, მას კაცის ხელი სჭირდება. ალექსი ახლა 13 წლისაა და, 16-17 წლის რომ იქნება, უკვე შეძლებს ამ სონატის დაკვრას. ერთადერთი ეს ნაწარმოები გადასცდება 2013 წელს, როდესაც ალექსი მაჭავარიანის 100 წლის იუბილეზე ვერ შესრულდება.

***– რას აპირებთ მამას 100 წლის იუბილეზე?***

– ჩემი მთავარი მისია მამაჩემის შემოქმედების მიმართ მისი ოპერა „ჰამლეტის“ დადგმაა, რომელიც სხვა ფაქტორით არის შექმნილი. მას მერე, რაც ტრიუმფალური გამარჯვება და წარმატება ჰქონდა „ოტელოს“, თბილისის თეატრმა დაუკვეთა მამას ორაქტიანი ფენომენალური ოპერა „ჰამლეტი“ მაჩაბლის ტექსტით. მისი იდეა იყო ამ თემაზე ოპერის დაწერა. მართლა ფენომენალურია, „ოტელოსა“ და საერთოდ ყველაფერზე მაღლა ვაყენებ.

***– ახერხებთ, ამ შემთხვევაში იყოთ ობიექტური?***

– რა თქმა უნდა, ვახერხებ. 18 წლის ბიჭიც არა ვარ, რომ საკმარისი პრაქტიკა და გამოცდილება არ მქონდეს, მაქვს უნარი, კომპოზიტორების შემოქმედება შევაფასო. მერე გამოიცვალა თბილისის ოპერის თეატრში ხელმძღვანელობა და მან ჩაურაზა ათწლეულების განმავლობაში ჯერ მაჭავარიანის ოპერა „ჰამლეტს“. ამ დროის არქივში მაქვს წერილები, სადაც დიდი თეატრიც ითხოვს ამ ოპერას და მარიას თეატრიც. მამა პასუხობს, მე ეს ოპერა ქართულად შევქმენი და პირველად მინდა, იმ ენაზე გაიჟღეროს, რომელზეც შევქმენი და მერე უკვე შეიძლება სხვა ენაზე ოპერის განხორციელებაზე ფიქრიო. მამამ არ გამოიყენა ასეთი უნიკალური შეთავაზება, თან განებივრებულიც იყო. ერთს რომ დაგიდგამენ, მეორეს და წარმატება მოაქვს, მერე უკვე მდგომარეობაც ცოტა სხვანაირია. საბოლოოდ გამოვიდა ისე, რომ 1977 წელს დასრულებული „ჰამლეტი“ დღემდე არ დადგმულა. უკვე 35 წელი გავიდა.

***– თქვენ განახორციელებთ ამ ოპერას?***

– ვესაუბრები თეატრის მესვეურებს. დიდი მხარდაჭერა მაქვს თეატრის დირექტორისგან. მე უფრო მაღალ ინსტანციებში მქონდა ლაპარაკი, რომ ჩემთვის პირადად ალექსი მაჭავარიანის 100 წლის იუბილეს ნამდვილი აღნიშვნა არის ის, რომ დაიდგას მისი ოპერა „ჰამლეტი“.

***– მოასწრებთ მის დადგმას?***

– ამ მისვლა-მოსვლაში ბევრ რამეზე უარს ვამბობ. ხანდახან მიწყრება ჩემი იმპრესარიო და, როცა ვუხსნი მდგომარეობას, გაგებით ეკიდება. ძალიან შეგნებული ადამიანია. ჩემს იმპრესარიოს უკვე ვუთხარი, რომ მომავალი წლის სექტემბერი, ოქტომბერი და ნოემბერი, სულ რომ მთვარიდან ჩამოვიდეს ორკესტრი და შემომთავაზოს კონტრაქტი, ეს ჩემთვის ტაბუდადებულია. ეს სამი თვე ჩემთვის შემოქმედებითი პროცესის მართვისთვის არის საჭირო. ვფიქრობ, კონფერენციაც უნდა ჩატარდეს, კამერული მუსიკის, საგუნდო მუსიკის, საფორპეტიანო მუსიკის, სავიოლინო მუსიკის, სიმფონიური მუსიკის და შეძლებისდაგვარად ხელისუფლება რა დაფინანსებასაც მოახერხებს, ისე გავაკეთებთ ყველაფერს, მაგრამ, პირველ რიგში, ვდგამთ „ჰამლეტს“.

***– ორკესტრი, თეატრი არის მზად ამისთვის?***

– კი, კარგი ორკესტრია ნამდვილად, ძალიან ნიჭიერი მუსიკოსები არიან. მათგან ძალიან ბევრია ჩემი ყოფილი მუსიკოსი. ისინი წამყვანი ხმები არიან. მათ აბსოლუტურად ვენდობი. ისინი მუშაობის პერიოდში ნებისმიერ ნაწარმოებს დაძლევენ. ვუსურვებ მათ, რომ პირობები, რეპერტუარი ჰქონდეთ, საინტერესო სპექტაკლები დადგან, შეერწყან ევროპის სვლას და ფეხი აუწყონ მსოფლიო შემოქმედებით პროცესებს. კარგი თეატრები მიდი-მოდიან და ეს ორკესტრიც ამას იმსახურებს. იცით, რა მაინტერესებს? – რატომ არ წერენ საქართველოში კრიტიკას? კონცერტის შემდეგ რატომ არ წერენ? მთელ მსოფლიოში ხდება ეს და აქ არ იწერება კრიტიკა. მაგას წინასწარმეტყველებდა მამაჩემი, ისეთ მიმართულებაში წავიდა ჩვენთან მუსიკათმცოდნეობის თემა, ნახავ, არც ერთი არ იქნება სტატიის დამწერიო.

***– თქვენ მოგწონთ, როცა გაკრიტიკებენ?***

– რატომაც არა, ოღონდ ჯანსაღი კრიტიკა მიყვარს. კრიტიკოსს დემოკრატიულ სამყაროში აქვს თავისი მოსაზრების გამოხატვის უფლება. მთავარია, ბოლმა და სულელი არ იყოს. თუ პროფესიონალი, ჭკვიანი კრიტიკოსის მოსაზრებაა, რამდენიც უნდა, იმდენი დაწეროს. მე კრიტიკოსისთვის ყოველთვის ღია ვარ.

***– ამბობდით, თუკი 2013 წლამდე ალექსი მაჭავარიანის შეუსრულებელი ნაწარმოებები არ აჟღერდა, გამოდის, კლასიკური მუსიკის თვალსაზრისით სერიოზული პრობლემაა საქართველოში.***

– მე ვთვლი, რომ კლასიკური მუსიკის სერიოზული პრობლემაა საქართველოში. ეგ ცალკე თემაა და არ გავრევ ამ საუბარში.

***– რატომ?***

– კვერცხი უფრო ადრე შეიქმნა თუ ქათამი? ასეთივე პრობლემაა კლასიკური მუსიკა საქართველოში. სერიოზული ორკესტრები დასავლეთშიც და ყოფილ ბალტიისპირეთის ქვეყნებშიც 50-60 პროგრამას უკრავენ წელიწადში. ძალიან საინტერესო პროგრამებია, აბონემენტური სისტემებია და ხალხი ირჩევს, რომელ კონცერტზე წავიდეს. გაკვირვებული ვარ, ხშირად მიწევს, როგორც მთავარ მიწვეულ დირიჟორს, თურქეთის ნაციონალურ ორკესტრთან ჩასვლა და ისეთი საინტერესო სეზონები აქვთ, დაგეგმილი აქვთ ორი წლით ადრე კონცერტები. უკვე ვიცი, 2014 წელს რას უნდა ვუდირიჟორო.

***– იქნებ იმიტომ არის კლასიკური მუსიკის სფეროში პრობლემები, რომ შენობა გვაქვს რემონტზე და საქართველო პატარა ქვეყანაა?***

– არ მინდა ამ თემაზე საუბარი, მაგრამ ლენინგრადის ბლოკადის დროს ვირთხებს ჭამდნენ და კონცერტებს მაინც მართავდნენ.

***– დღეს რომ კლასიკურ მუსიკაში ხართ, მამას დამსახურებაა?***

– ერთი მხრივ – კი და მეორე მხრივ – არა. ამის გადაწყვეტილება მამას არ მიუღია, გადაწყვეტილება თვითონ მივიღე. კვიმატი ბიჭი ვიყავი, ინდივიდუალური ხასიათი მქონდა და თავს ვერაფერს მომახვევდნენ. ეს დედამაც იცოდა და მამამაც. მაგრამ, რასაკვირველია, მამას მოღვაწეობამაც იქონია ჩემზე გავლენა. ბაბუაჩემი ლოტბარი კირილე პაჭკორია იყო, ჩემ გარემოს სულ მუსიკა ჟღერდა, ჩვენს ოჯახში საოცარი ადამიანები იკრიბებოდნენ. პატარა ბიჭი ვიყავი, ჩვენთან რომ სადილობდნენ რიხტერი, როსტროპოვიჩი, მიხეილ ვაიმანი, ანდრია ბალანჩივაძე, ოდისეი დიმიტრიადი, პავლე ხუჭუა, ლადო დონაძე. ამ გარემოში რომ იზრდები, ისე შემოდის შენში მუსიკა, როგორც ჰაერი, წყალი. მამამ და დედამ გადაწყვიტეს, მუსიკალური განათლება მოეცათ ჩემთვის. იცით, რა დემოკრატი მშობლები მყავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე სროლა გრძელდება

სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე ორმხრივი სროლა ისმის. აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება ყველა მიმართულებით ირღვევა. სომხეთის შეიარაღებულმა ძალებმა აზერბაიჯანის მიმართულებით ცეცხლი გახსნეს.

– ინტენსიური სროლის მიუხედავად, აზერბაიჯანულ არმიაში დანაკარგი არ არის. სროლას ჩვენი მხრიდან საპასუხო ცეცხლი მოჰყვა, – ნათქვამია აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროს განცხადებაში.

სომხური მედია კი მსხვერპლის შესახებ იუწყება. დაღუპულია მთიანი ყარაბაღის არაღიარებული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ერთი ჯარისკაცი.

ამასთან, სამი დღის წინ სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე შეტაკებას ხუთი აზერბაიჯანელი და სამი სომეხი ჯარისკაცი ემსხვერპლა. აღსანიშნავია, რომ ეს ყველაფერი სომხეთში ამერიკის სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის ვიზიტს დაემთხვა.

ამ კვირაში აზერბაიჯანის მხრიდან სომხეთისა და მთიანი ყარაბაღის ტერიტორიაზე განხორციელებულ თავდასხმებთან დაკავშირებით „ამერიკის სომხურმა ეროვნულმა კომიტეტმა“ ამერიკის კონგრესსა და ობამას ადმინისტრაციას სპეციალური რეკომენდაციები გაუგზავნა, სადაც სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის მშვიდობიანი და დემოკრატიული რეზოლუციის მხარდაჭერას სთხოვს.

– დროა ამერიკამ და მთელმა საერთაშორისო საზოგადოებამ აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევის სიტყვებს მიაქციოს ყურდაღება, როდესაც ის ღიად იმუქრება რომ სომხეთისა და მთაინი ყარაბაღის წინააღმდეგ ომს წამოიწყებს, -აცხადებს სომეხთა კომიტეტის წარმომადგენელი კეით ნაჰაპეტიანი.

აზერბაიჯანსა და სომხეთს ძალადობაზე უარის თქმისკენ მოსკოვმაც მოუწოდა.

– ჩვენ მიუღებლად მიგვაჩნია კონფლიქტის შემდგომი ესკალაცია და ორივე მხარეს მოვუწოდებთ ყველა ღონე იხმარონ კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებისათვის, – აღნიშნა რუსეთის დიპლომატიური უწყების ოფიციალურმა წარმომადგენელმა ალექსანდრ ლუკაშევიჩმა.

ამ ფონზე, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი აზერბაიჯანისათვის სადაზვერვო აპარტურის მიწოდების შესაძლებლობას განიხილავს, რომელიც როგორც აღნიშნავენ, ირანისაგან ქვეყნის დასაცავად არის საჭირო.



თუმცა, სომხურ-ამერიკული ლობი და მათთან დაკავშირებული კონგრესმენები აღნიშნულს ეწინააღმდეგებიან და მიუთითებენ, რომ ეს ტექნიკა აზერბაიჯანმა შესაძლოა სომხეთის წინააღმდეგ გამოიყენოს.

არ არის დაზუსტებული კონკრეტულად რა ტექნიკაზეა საუბარი, თუმცა საქმე დაზვერვისა და დაკვირვების აპარატურას ეხება, რომლის დამაგრებაც სამხედრო ვერტმფრენ „მი-35მ-ზე“ არის შესაძლებელი. ამ ტიპის ვერტმფრენები, ბოლო პერიოდში, აზერბაიჯანმა რუსეთისაგან შეისყიდა. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტისა და თავად აზერბაიჯანის ცნობით, ეს აპარატურა აზერბაიჯანის სასაზღვრო დაცვის ჯარისკაცებს გადაეცემა. როგორც აცხადებენ, ეს ირანის საზღვარზე სიტუაციის კონტროლისათვის არის აუცილებელი.

– ამერიკის კონგრესისა და ხელისუფლების მორალური ვალია დაეხმაროს საკუთარ სტრატეგიულ პარტნიორს და მხარი დაუჭიროს აზერბაიჯანს. ჩვენ საკუთარ პარტნიორებს უნდა დავანახოთ, რომ ვაფასებთ მათ მეგობრობასა და პარტნიორობას და არ უგულვებელვყოფთ იმ საფრთხეს, რომელსაც ირანი წარმოადგენს, – საუბარია ამერიკაში აზერბაიჯანის ქსელის წარმომადგენლების მიმართვაში.

სომხურ მხარეს აღნიშნულის არ სჯერა. კონგრესმენმა ჰოვარდ ბერმანმა ამერიკის სახელმწიფო მდივან ჰილარი კლინტონს წერილი მისწერა, სადაც საუბარია, რომ მსგავსი აპარატურა შესაძლოა ყარაბახში, სომხების წინააღმდეგ გამოიყენონ.

თუმცა, ძირითად პრობლემას სომხური და აზერბაიჯანული მხარისათვის წარმოადგენს, არა იმდენად აღნიშნილი აპარატურის მიწოდება აზერბაიჯანისათვის, არამედ ეყოლება თუ არა დასავლეთს აზერბაიჯანი იზოლაციაში მთიანი ყარაბახის გამო, თუ მასთან აქტიურ თანამშრომლობას ამჯობინებს.

– სიმართლე იმაში მდგომარეობს, რომ მსგავსი აპარატურის შეძენა აზერბაიჯანს სხვაგანაც შეუძლია, თუმცა ამ შემთხვევაში მთავარ საკითხს წარმოადგენს მსგავსი აპარტურის მიღება სტრატეგიული პარტნიორისაგან. რამდენადაც აზერბაიჯანი საკუთარ სამხედრო კონტიგენტს კოსოვოში, ავღანეთსა და ერაყში აგზავნის, ასევე სხვა საქმეებშიც ეხმარება ამერიკას, მას სურს რომ სამხედრო აღჭურვილობა სწორედ მისი დასავლელი პარტნიორისაგან მიიღოს, – აღნიშნავს ამერიკაში აზერბაიჯანელთა ქსელის წარმომადგენელი ადილ ბაგიროვი.

მაგალითად, საქართველოსა და უზბეკეთის შემთხვევა მოჰყავთ, სადაც ამერიკის მიერ სამხედრო აღჭურვილობის მიწოდებას უფრო მეტად სიმბოლური მნიშვნელობა აქვს. თუმცა, საკითხავია იმუშავებს თუ არა მსგავსი მიდგომა აზერბაიჯანის შემთხვევაში.

გ.შ.

# წინ მომავლისაკენ



მცირე აკადემიის ბიზნესის მართვის წლევანდელი კურსდამთავრებულების ამ ჯგუფზე ადრეც დაბეჭდილა სხვადასხვა ჟურნალებში, როგორც წარმატებულ სტუდენტებზე, რომლებიც სწავლასა და შრომას ერთნაირი მონდომებით უთმობენ დროს.

ვულოცავთ ბაკალავრის წარჩინებით დამთავრებას გეგა ხაფთანს, ნათია შიოშვილს, ლორიგან ასათიანს, ანუკი ოვანიშვილს, ნინო თეთრაშვილს, ციცი გამხიტაშვილს, რომელიც, ზემოთ ჩამოთვლილი სტუდენტებისგან განსხვავებით, წარჩინებით ამთავრებს კომპიუტერულ პროგრამებს.

ამაყად გევლოთ წინ მომავლისაკენ, ყოველთვის გახსოვდეთ „ენა, მამული, სარწმუნოება“ და ისიც, რომ „მომავალი ისტორია იქმნება ქვეყნის წარსულის კარგად ცოდნით და კულტურული მემკვიდრეობით. გახსოვდეთ, ვისი გორისანი ხართ და ამაყად ატარეთ დამოუკიდებელი საქართველოს დროშა“.

ნანა ჩილაჩავა

# მექსიკაში 14 დანაწევრებული სხეული აღმოაჩინეს

მექსიკაში პოლიციამ ტამაულიპას შტატში, ქალაქ სიუდად-მანტის მერიის წინ გაჩერებული სატვირთო ავტომანქანაში 14 ადამიანის დანაწევრებული სხეული აღმოაჩინა, – იუწყება „ბი-ბი-სი“.

ქვეყნის ხელისუფლების ცნობით სატვირთოში ნაპოვნია ერთგვარი გზავნილი, რომელიც იმაზე მიუთითებს, რომ დანაშაული ნარკომაფიის მიერ იყო ჩადანილი.

თვითმხილველთა თქმით, შუადღეს უცნობმა პიროვნებამ სატვირთო მანქანა ადმინისტრაციის წინ დატოვა და მიიმალა.

ცოტა ხნის წინ, მექსიკის ქალაქ ნუევო-ლარედოში, აშშ-ის საზღვართან პოლიციამ ჯერ 10 გვამი აღმოაჩინა, რომლებსაც ფიზიკური ძალადობის კვალი ეტყობოდა. გარკვეული დროის შემდეგ კი, კიდევ 14 თავმოკვეთილი და დანაწევრებული ცხედარი იპოვეს ავტომანქანაში, მოკვეთილი თავები კი მერიის შენობის სიახლოვეს – ყინულით სავსე ყუთებში აღმოაჩინეს.

როგორც „ბი-ბი-სი“ იუწყებოდა, ქალაქი ნუევო-ლარედო, ორი მექსიკური უმსხვილესი ნარკოკარტელის წინააღმდეგობის არენადაა ქცეული. ისინი აშშ-ში ნარკოტიკების შეტანაში პირველობისთვის იბრძვიან. შეტყობინებაში, რომელიც თავმოკვეთილ გვამებთან იყო დატოვებული, ნათქვამია, რომ მოკლულები ერთ-ერთი ამ კარტელის წევრები იყვნენ, რომლებსაც მოწინააღმდეგე კლანი გაუსწორდა.

ნარკოტიკებთან დაკავშირებულ ბრძოლას მექსიკაში, 2006 წლის შემდეგ, უკვე 50 ათასი ადამიანი შეეწირა, ეს მას შემდეგ მოხდა, რაც პრეზიდენტმა ფელიპე კალდერონმა ნარკოკარტელების წინააღმდეგ ბრძოლაში არმიის დანაყოფები ჩართო.

გ.შ.

# მით რომნიმ ობამას გაუსწრო

ამერიკის პრეზიდენტობის კანდიდატმა მით რომნიმ რესპუბლიკური პარტიიდან მაისში თითქმის 17 მილიონი დოლარით მეტი თანხის შეგროვება შეძლო საარჩევნოდ, ვიდრე ამერიკის მოქმედმა პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ.

რესპუბლიკელების საარჩევნო კალათში 76,8 მილიონი დოლარი აღმოჩნდა, დემოკრატებისაში კი 60 მილიონი, მიუხედავად იმის, რომ ჯორჯ კლუნის სახლში გამართულ ბიზნეს-წვეულებაზე თითოეული ბილეთის ფასი 40 000 დოლარი ღირდა, სტუმრებმა კი მრავლად მოიყარეს თავი.

ინფორმაციისთვის, ამ შემთხვევაში არ ქვეყნდება ის მილიონები, რომლებსაც დამოუკიდებელი კომიტეტები კანდიდატებისგან ცალკე აგროვებენ.

რაც შეეხება რეიტინგებს, გრძელდება ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობის გამოკითხვა პრეზიდენტობის კანდიდატებთან დაკავშირებით. ბოლო მონაცემებით, რომლებიც გამოცემა გელაპის“ მიერ გავრცელდა, პრეზიდენტობის კანდიდატ მიტ რომნის რეიტინგი უკვე 47%-ია და ერთი პროცენტით უსწრებს ბარაკ ობამას რეიტინგს.

მანამდე ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით კი, აშშ-ს მოქმედი პრეზიდენტი 7 %-ით უსწრებდა მიტ რომნის. გამოკითხულთა 50% ბარაკ ობამას სასარგებლოდ აპირებდა არჩევანის გაკეთებას, ხოლო მით რომნის გამოკითხულთა 43% ასახელებდა.

მონიტორინგის შედეგები ამ დროისთვის კანდიდატების შანსებს ერთმანეთთან ათანაბრებს.

გ.შ.

## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

2010 წელს ხობის ხარების დედათა მონასტრის უძველეს ტაძარში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე.

(საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 11 ნოემბრის 611/15 დადგენილებით, ხობის მონასტრის რესტავრაცია—განახლებისათვის შემოწირულობის შეგროვების მიზნით გამოყოფილი სატელეფონო ნომრები: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608, შეიცვალა ახალი ნომრით 0-901-900-900.

ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ფასიანი ზარის განხორციელება შესაძლებელია შემდეგი თანმიმდევრობით: 0-901-900-900.




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი. (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების
დედათა მონასტრის წინამძღვარი
იღუმენია ანა (მუსელიანი)

## განცხადებები

● ქალბატონებო! აგლაძის №67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გარჩევა, საბან-ლეიბების განახლება-აღდგენის მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი, შემოგთავაზებთ ქსოვილების არჩევანს. ტელ: 235-15-96.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

● იყიდება ან გირავდება საკუთარი სახლი, ფართით 106 კვ.მ. გამოდგება საოფისედ, საცხოვრებლად, საწარმოდ მის: ნუცუბიძის ფერდობი 1 მ/რ,სახლი №5. ფასი შეთანხმებით. ტელ. 599-41-52-29; 568-65-10-48; 232-52-29; 231-48-72 ვაჟა.

● სმენის აღდგენა რამდენიმე დღეში ბიომასაჟით, ოსტეოქონდროზის, სახსრების დაავადებების, პროსტატიტის, ცისტიტის, ნევრიტების, რადიკულიტის, გასტრიტის, კოლიტის, ქოლეცისტიტისა და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში. მის: ქ.თბილისი, თ.აბულაძის ქ.20, დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 551-25-45-35, ბ-ნი ლევანი.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● ვიგირავებ ვაკეში 2 ან 3 ოთახიან კარგად მოწყობილ ბინას. ტელ:. 298-95-47

● შევიძენ ვაკეში 2 ან 3 ოთახიან გარემონტებულ ბინას 100 000-ის ფარგლებში. ტელ:. 294-53-20

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

2011 წლის 03 ნოემბერს გარდაიცვალა ვასილ ანზორის ძე ნიკოლაიშვილი. ნოტარიუს კონსტანტინე ჯაფარიძის სანოტარო ბიუროში მიმდინარეობს 03.11.2011წ. გარდაცვლილი ვასილ ნიკოლაიშვილის სამკვიდრო საქმის წარმოება.

სამკვიდროს მისაღებად კანონისმიერმა და ანდერძისმიერმა მემკვიდრეებმა და დაინტერესებულმა პირებმა მიმართეთ ნოტარიუს კონსტანტინე ჯაფარიძეს სანოტარო ბიუროში მდებარე: ქ.თბილისი, ცოტნე დადიანის ქ.№137.

**ტელ: 599-90-33-20; 0790-94-55-10**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უკრაინა: ვინ იხეირებს ახალი ვითარებით?

– უკრაინაში არ არსებობენ პრორუსული ორიენტაციის პოლიტიკოსები, სამაგიეროდ, არიან პრორუსულად განწყობილი რეგიონები, – ვლადიმირ პუტინმა ეს ჯერ კიდევ 2010 წელს განაცხადა.

როგორც ცნობილია, ბევრი რუსი პოლიტოლოგი ხელისუფლებაში ვიქტორ იანუკოვიჩის მოსვლას მიესალმა. პროფესიონალი ჩეკისტი პუტინი კი ბევრად თავშეკავებული იყო. მას კარგად მოეხსენებოდა, რომ ძალები, რომლებიც იანუკოვიჩის უკან იდგნენ, სულაც არ იყვნენ დაინტერესებული რუსული გავლენის გაძლიერებით. შესაბამისად, ახალი პრეზიდენტიც პრო-დასავლურ კურს გააგრძელებდა. მაქსიმუმ, შეიძლებოდა, შეცვლილიყო რიტორიკა, არსი კი იგივე დარჩებოდა. კრემლსაც უკრაინაზე გავლენის აღდგენისათვის სხვა გზები უნდა გამოეძებნა. ასეც მოხდა. როგორც ყოველთვის, რუსული სქემა ვლადიმირ ჟირინოვსკიმ გაახმოვანა:

– როდესაც უკრაინაზე ლაპარაკობენ, უნებლიეთ კიპლინგის სტრიქონები მახსენდება: დასავლეთი დასავლეთია, აღმოსავლეთი – აღმოსავლეთი. ისინი ვერასოდეს გაერთიანდებიან, – განაცხადა ვლადიმირ ვოლფოვიჩმა.

ამრიგად, გაგრძელდა სქემა, რომელიც კრემლმა ჯერ კიდევ ხელისუფლებაში იუშჩენკოს ყოფნისას აამოქმედა. პროგრამა მაქსიმუმი უკრაინის რამდენიმე ნაწილად დაშლა იყო, მინიმუმი – მისი ფედერალიზაცია, რუსული ენისათვის მეორე სახელმწიფო ენის სტატუსის მინიჭება, რუსული ბიზნესისათვის გზის ფართოდ გახსნა, სტრატეგიული ობიექტების (უწინარეს ყოვლისა, ენერგოობიექტები, სამხედრო ქარხნები, რკინიგზა, პორტები) რუსების ხელში გადასვლა. ამისათვის აუცილებელი იყო უკრაინის საერთაშორისო იზოლაციისა და ქვეყნის შიგნით წინააღმდეგობის მკვეთრი გამწვავება.

– იულია ტიმოშენკოს დაპატიმრება პრორუსული ძალების მიერაა ინსპირირებული, – აცხადებს უკრაინელი პოლიტოლოგი სერგეი ნაბოჟენკო, – ამით იანუკოვიჩის საგარეო პოზიციები შესუსტდა. მას ჰქონდა პრობლემები როგორც ევროპასთან, ასევე რუსეთთან. იზოლაციის კონტურებიც უკვე რეალურად გამოიკვეთა.

ქვეყნის შიგნით კონფლიქტების გამწვავებისთვის საუკეთესო საბაბი რუსული ენის სტატუსის ამაღლება იყო. არჩევამდე იანუკოვიჩი თავის ამომრჩეველს ჰპირდებოდა, რომ რუსულს მეორე სახელმწიფო ენის სტატუსს მიანიჭებდა. პრეზიდენტად არჩევის შემდეგ კი ვიქტორ ფიოდოროვიჩმა ეს დაივიწყა. მეტიც, საჯარო გამოსვლებისას ის უკრაინულად ლაპარაკობდა. დაპირებები იანუკოვიჩმა მოახლოებული არჩევნების წინ გაიხსენა.

– რეგიონების პარტიის პოზიციები მყარი ნამდვილად არაა, – წერს „უკრაინსკა პრავდა“, – თვით აღმოსავლეთ და სამხრეთ რეგიონებშიც კი მათ მიმართ იმედგაცრუება იგრძნობა. დღეისათვის იანუკოვიჩს 65 პროცენტი უნდობლობას უცხადებს. როგორც ჩანს, იანუკოვიჩმაც ჩათვალა, რომ ასეთ ვითარებაში რუსული ენის სტატუსის ამაღლება მისი მდგომარეობის გამოსწორებას ხელს შეუწყობდა“.

რუსულისათვის მეორე სახელმწიფო ენის სტატუსის მინიჭება კონსტიტუციურ ცვლილებებს მოითხოვდა. ამისათვის კი აუცილებელია 300 ხმა. იანუკოვიჩის მომხრე საპარლამენტო უმრავლესობას ეს არ გააჩნდა. რეგიონების პარტიაშიც გამოსავალი მოძებნეს. ახალი კანონპროექტით, რომელიც პარტიის პრორუსულად განწყობილმა აქტივისტებმა (კივალოვი, კოლესნიჩენკო) მოამზადეს, რუსულს „რეგიონული ენის“ სტატუსი ენიჭებოდა. ამით ყველა უკმაყოფილო იყო. პრორუსული ძალები თვლიდნენ, რომ რუსულ ენას აუცილებლად



ხსენებულ კანონში უკრაინული ენის შევიწროების საფრთხე დაინახეს.

– ამრიგად კრემლის მიზანი განხორციელდა. უკრაინაში წინააღმდეგობა გამძაფრდა, – წერს ნაბოჟენკო.

ვნებათაღელვამ პარლამენტის სესიაზეც გადმოხეთქა. ეს ნათლად გამოჩნდა 24 მაისს, როდესაც ხსენებული კანონპროექტი იხილებოდა. მას მხარი არ დაუჭირეს არც ოპოზიციონერებმა, არც მმართველი უმრავლესობის ცალკეულმა წარმომადგენლებმა. კანონპროექტი სპიკერმა ლიტვინმაც დაიწუნა.

– პარლამენტისაკენაც სასწრაფოდ გაეშურა უშიშროების საბჭოს მდივანი კლიუევი. ის მმართველი უმრავლესობის წარმომადგენლებს შეხვდა და ხსენებული კანონპროექტისათვის მხარდაჭერა კატეგორიულად მოსთხოვა, – წერს „უკრაინსკა პრავდა“.

კლიუევის ვიზიტმა შედეგი გამოიღო. მმართველი უმრავლესობის რამდენიმე წარმომადგენელმა კანონპროექტისათვის მხარდაჭერა გადაწყვიტა. თუმცა ოპოზიცია ფარ-ხმალის დაყრას არ აპირებდა. დაიწყო თუ არა განხილვა, რამდენიმე ოპოზიციონერი დეპუტატი ტრიბუნისაკენ გაქანდა და მისი ბლოკირება სცადა. მმართველი უმრავლესობის წარმომადგენლებმა მათი ჩამოგდება სცადეს. შედეგად მუშტი-კრივი გაიმართა.

– დეპუტატ კოლესნიჩენკოს სიტყვებმა ცეცხლზე ნავთი დაასხა. მან ხომ ოპოზიციონერებს „ფაშისტები“ უწოდა, –წერს „უკრაინსკა პრავდა“.

კოლესნიჩენკოს ასეთი გამოხდომა ძვირი დაუჯდა. გამწარებული ოპოზიციონერები მას მისცვივდნენ, ძირს დასცეს და ცემა დაუწყეს. უმრავლესობის ნაწილმა სცადა, კოლესნიჩენკოს დახმარებოდა. პარლამენტის შენობაში ხელჩართული ბრძოლა გაიმართა.

– შედეგად რამდენიმე დეპუტატი დაშავდა, – იტყობინება „ინტერი“.

სპიკერმა ლიტვინმა სხდომა სასწრაფოდ დახურა. საკითხის განხილვა ერთი კვირით გადაიდო. ამასობაში როგორც ხელისუფლება, ისე ოპოზიცია თავისი მომხრეების მობილიზაციასა და კიევში ჩამოყვანას გეგმავდა. თუმცა უკანასკნელ მომენტში ხელისუფლების წარმომადგენლებს გონიერება ეყოთ და ოპოზიციას კომპრომისი შესთავაზეს: კანონპროექტს პირველი მოსმენით მიიღებენ, ოპოზიცია კი ტრიბუნის ბლოკირებასა თუ სხვა რადიკალურ ღონისძიებებზე უარს განაცხადებს. გარკვეული შეთანხმება მოხდა. 5 ივნისის სხდომაც უფრო მშვიდ ვითარებაში ჩატარდა. მიუხედავად ამისა, პარლამენტთან უკრაინული ენის 5 ათასამდე დამცველმა მოიყარა თავი. მათ რეგიონალთა მომხრე მცირერიცხოვანი ჯგუფი დაუპირისპირდა. ორივე ჯგუფი ერთმანეთისადმი საკმაოდ აგრესიულად იყო განწყობილი და მათ შორის მილიციის კორდონის ჩაყენება გახდა საჭირო.

– პარლამენტის შენობაში ამჯერად ექსცესები არ მომხდარა. კანონპროექტი პირველი მოსმენით მიიღეს, თუმცა გარეთ ვნებები ბობოქრობდა, – იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

მართლაც, როგორც კი ცნობილი გახდა, რომ ხსენებული კანონპროექტი პირველი მოსმენით მიიღეს, პარლამენტთან შეკრებილმა ოპოზიციონერებმა შენობაში შეჭრა სცადეს. მათ და მილიციას შორის ხელჩართული შეტაკება მოხდა. საქმეში სპეცდანიშნულების რაზმ „ბერკუტის“ ჩარევა გახდა საჭირო. შედეგად შეტევა მოგერიებულ იქნა.

– მიუხედავად ამისა, ხალხი დაშლას მაინც არ აპირებდა. მათ დამოუკიდებლობის მოედანზე მიტინგის მოწყობა სცადეს. „ბერკუტმა“ ამისი საშუალება არ მისცა, – იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

ამრიგად, ენის საკითხის წინა პლანზე წამოწევამ კონფრონტაცია გააღვივა. პრობლემებს ევროპასთან ქვეყნის შიგნით გამწვავებული კონფლიქტიც დაემატა. ოპოზიცია მმართველ პარტიას უკრაინული ენის შევიწროებაში უკვე ხმამაღლა ადანაშაულებს. სიტყვას საქმეც მოჰყვა. ექვსი წამყვანი ოპოზიციური პარტია გაერთიანდა. ლიდერად პატიმრობაში მყოფი იულია ტიმოშენკო აირჩიეს. პარალელურად კიევში არ ცხრება უკრაინული ენის მხარდამჭერი პატარ-პატარა აქციები. თავის მხრივ, უმრავლესობის წარმომადგენლებიც აცხადებენ, რომ ხსენებულ კანონპროექტს უკვე თვის ბოლოსათვის აუცილებლად მივიღებთო.

– ჩვენი კანონი ევროპულ სტანდარტებს შეესაბამება, – მიიჩნევს მისი ერთ-ერთი ავტორი, დეპუტატი კოლესნიჩენკო.

ოპონენტები ამას კატეგორიულად არ ეთანხმებიან. ვნებათაღელვამ ნელ-ნელა ქუჩაში გადაინაცვლა. ამრიგად, პრობლემებს ევროპასთან ქვეყნის შიგნით გართულებული მდგომარეობაც დაემატა.

– ვინ იხეირებს უკრაინაში შექმნილი ახალი ვითარებით? პუტინი, ევროპა თუ რეგიონების პარტია? – წერს სერგეი ნაბოჟენკო.

ამას უახლოესი მომავალი გვიჩვენებს.

**ნიკა თევზაძე**

## სამგლოვიარო განცხადებები

პოლიტიკური პარტია „განახლებული საქართველოსთვის“ გამგეობა, საქალაქო და რეგიონული ორგანიზაციები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ პარტიის თავმჯდომარის ნანა გულუას ვაჟიშვილის

**ირაკლი ესიავას**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

პოლიტიკური პარტია „განახლებული საქართველოსთვის“ წევრები თანაუგრძნობენ პარტიის მრჩეველს საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებში მინდია გულუას დისშვილის

**ირაკლი ესიავას**

გარდაცვალების გამო.

---

საინფორმაციო სააგენტო „ივერონისა“ და გაზეთის „დღეს და ხვალ“ გაერთიანებული რედაქციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ქალბატონ ნელი ჩილაჩავას შვილიშვილის

**ირაკლი ესიავას**

გარდაცვალების გამო.

---

ვერა, რუსუდან, დარეჯან, მარინა და მამუკა ანდრიაძეები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ, რომ გარდაიცვალა ღირსეული მამულიშვილი

**ირაკლი ონისიმეს ძე ანდრიაძე**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

## ვარა ნიკოლოზის ასული ფილიშვილი



თავისი მშობლიური საქართველოდან და საყვარელი გალიდან შორს – ამერიკის შეერთებულ შტატებში – აღესრულა საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი ვარა ნიკოლოზის ასული ფილიშვილი. ოც წელზე მეტ ხანს დევნილობაში მყოფმა ვერ აისრულა ნატვრა და ოცნება – ცხოვრების უკანასკნელი წლები მაინც გაეტარებინა საკუთარ სამშობლოში.

არადა, როგორ უყვარდა თავისი კახეთი, თბილისი, აფხაზეთი და განსაკუთრებით კი – გალი და გალელები. თითქმის ნახევარი საუკუნე გალის მეორე საშუალო სკოლაში ისტორიას ასწავლიდა, იყო სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის კარგი ორგანიზატორი. გალელი ახალგაზრდობის მრავალ თაობას დაეხმარა ცოდნის მიღებაში, რჩევებითა და დედაშვილური დარიგებებით მეგზურობდა მათ ცხოვრების სწორი გზით პოვნაში.

ჩვენთვის ქალბატონი ვარა ყოველთვის ასოცირდებოდა მაღალ პროფესიონალიზმთან. იგი იყო მკაცრი და მომთხოვნი პედაგოგი, ამავდროულად, ობიექტური, უაღრესად გულისხმიერი და კეთილშობილი ადამიანი. სიკეთის უშურველი კეთებით, ჭეშმარიტი პატრიოტობით, შრომისმოყვარეობითა და შემოქმედებითი ინიციატივით დაგვამახსოვრა თავი ამ მართლაც დაუღალავი ენერგიისა და ნებისყოფის მქონე ადამიანმა.

ქალბატონი ვარა შესანიშნავი შვილების აღმზრდელი დედაა. მისი სითბო და სიყვარული შვილებსა და შვილიშვილებსაც ერგოთ.

ქალბატონ ვარას უკანასკნელი ნატვრა შვილებმა შეუსრულეს – სახალხო განათლების გამორჩეული მუშაკისა და ქართული პედაგოგიური სკოლის ღირსეული წარმომადგენლის ნეშტს მშობლიური მიწა მიიბარებს.

მშვიდობით, ქალბატონო ვარა. გვახსოვხართ და გვემახსოვრებით!

*კოლეგები, ყოფილი მოსწავლეები*

---

შვილები ნანა და ანზორ მიქაიები, შვილიშვილები ნინო, ლიკა, ალექსი, შვილთაშვილები ჯონი (ივანე), ნიკა, ალექსანდრე, სიძე ემზარ ცერცვაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ვარა ნიკოლოზის ასული ფილიშვილი**

პანაშვიდი: ორშაბათს, 11 ივნისს, 17 საათზე.

დაკრძალვა: სამშაბათს, 12 ივნისს, 15 საათზე.

მისამართი: თბილისი, ქვიშხეთის ქუჩა №2, V სადარბაზო, ბინა 84 (მეტროსადგური „ღრმაღელე“).

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## კროსვორდი ბ

*შვეულად:* 1. მითითება, რჩევა-დარიგება, რომელსაც უტოვებენ შთამომავლობას; 2. მუდმივი მყიდველი; 3. ქართველ ქალთა ძველებური თავსაბურავი; 4. მშვენიერების, სრულყოფილი ფორმების მოტრფიალე; 5. შოკოლადით დაფარული ნაყინი; 9. ეგვიპტის დედაქალაქი; 10. სამთო-სათხილამურო სპორტის ცენტრი სლოვენიაში; 14. სიმღერისა და ცეკვის მუზა ბერძნულ მითოლოგიაში; 15. ძველი გერმანული ტომი; 16. ნიადაგის გასანოყიერებელი ნივთიერება; 19. მაღალხარისხოვანი, არომატული, სპირტიანი სასმელი; 20. ილუზიონისტთა ფარული ჯიბე მანიპულირებისათვის; 21. ინდოელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

*თარაზულად:* 6. ცოდვების მიტევება კათოლიკურ ეკლესიაში; 7. ბერძენი მილიარდერი; 8. დამრიგებელი, მასწავლებელი იაპონიაში; 11. სხეულის ნატურალური სიდიდის მოდელი თვალსაჩინოებისათვის, სამედიცინო დაწესებულებებში; 13. ბანქოს სათამაშო მაგიდა; 17. ელჩის გაწვევა სახელმწიფოდან; 18. მყვინთავის წყალშეუვალი კოსტუმი; 22. გაერთიანებული სამეფოს დედაქალაქი; 23. ძალზე ხელმომჭირნე, ძუნწი ადამიანი; 24. წარმოსახვითი ხაზი, რომელიც ჰყოფს დედამიწას ჩრდილო და სამხრეთ ნახევარსფეროებად; 25. სამონასტრო კომპლექსი ქარელის რაიონში.

*შეადგინა თ. გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

შვეულად: 1. აბსურდი; 2. „ფორბსი“; 3. კონტრალტო; 4. ხარება; 5. ტაშკენტი; 7. „გალო“; 11. მერდინი; 13. ჩერჩილი; 15. დასტა; 16. „თეთრა“; 18. ნაღმი; 19. ლუქსი.

თარაზულად: 6. ბელგია; 8. ბოსფორი; 9. ხალვაში; 10. რეფორმა; 12. დიუმა; 14. მარინა; 17. ტარანტული; 20. თრილერი; 21. ეტიუდი; 22. მიქსტი; 23. პამპერსი.

**კროსვორდი ბ**

შვეულად: 1. რემისია; 2. „ოსასუნა“; 3. ელევატორი; 4. „პანედა“; 5. ეკლერი; 9. პირსი; 10. ბროკერი; 14. ფორტეპიანო; 15. ტელევიზია; 16. მტრედი; 19. ზოდიაქო; 20. „ილიადა“; 21. ანკეტა.

თარაზულად: 6. სევასტოპოლი; 7. იამაიკა; 8. სინუსი; 11. „დიადორა“; 12. ენგრი; 13. კოდექსი; 17. გეომეტრია; 18. ტიტესტერი; 22. ფლორიდა; 23. დანლოპი; 24. ექსპერტი; 25. სალივანი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

**9 ივნისი**

აშშ დოლარი — 1,6219

ევრო — 2,0582

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5626

რუსული რუბლი — 0,0549

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 21-25, ღამით — 10-14

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 18-21, ღამით — 8-10

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 19-23, ღამით — 7-9

**ამინდის პროგნოზი 9 ივნისისთვის**







# 13 ივნისიდან!
## დიდი საზაფხულო აქცია
## ქართული მწერლობის საუნჯე
## „ახალ თაობასთან“ ერთად

ფასი 5 ლარი


## ასტროპროგნოზი

**9 ივნისი – შემოქმედებითი დღეა**

**ვერძი** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** – ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **ტყუპები** – არ აჩქარდეთ, მაინც ყველაფერს მოასწრებთ. **კირჩხიბი** – ახალ სამსახურში თავს ლაღად გრძნობთ. **ლომი** – ყურადღების ცენტრში ხართ და გსიამოვნებთ. **ქალწული** – არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **სასწორი** – მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **მშვილდოსანი** – ყველა საქმე გამოგდით, მთავარია არ შედრკეთ. **თხის რქა** – ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით. **მერწყული** – ნუ გაფლანგავთ დროს, სწორად გაანაწილეთ. **მერწყული** – სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **თევზები** – შემოქმედებითი დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ.

**10 ივნისი – უჩვეულო დღეა**

**ვერძი** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** – ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **ტყუპები** – არ აჩქარდეთ, საქმეს ისედაც მოასწრებთ. **კირჩხიბი** – ახალი პროექტი გაამართლებს, კმაყოფილი ხართ. **ლომი** – ახალი ნაცნობობა ამჯერად გაამართლებს. **ქალწული** – გზიდან საინტერესო ამბავს გაიგებთ. **სასწორი** – ნუ აყვებით ჭორებს, ნამდვილად არ ღირს. **ლრიანქალი** – დაისვენეთ მყუდრო გარემოში, გადაღლილი ხართ. **მშვილდოსანი** – პატარა პრობლემას ადვილად გადალახავთ, მთავარია მონდომება. **თხის რქა** – სახლში კარგი ამბებია, მხიარულობთ. **მერწყული** – საღამოს სტუმრები გეწვევიან, მათგან კარგ ამბებს გაიგებთ. **თევზები** – ყური მიუგდეთ ინტუიციას, სხვებს ნუ დაუჯერებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## საქართველოს ჩემპიონატს ახალი ლიგა ჩაატარებს

ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე კლუბების ხელმძღვანელები „დინამოს“ ბაზაზე შეიკრიბნენ და ახალ ჩემპიონატზე იმსჯელეს. გადაწყდა, რომ ახალი ჩეპიონატი 12-გუნდიანი იქნება, რომლის ფორმატით 22 ტურის შემდეგ გუნდები ზედა და ქვედა ექვსეულებად დაიყოფიან. 6-6 გუნდი ცალ-ცალკე განაგრძობს თამაშს და პირველ-მეორე წრეში დაგროვილი ქულები მომდევნო ეტაპზე სრულად გადაჰყვებათ. ეროვნული ჩემპიონატი სულ 32 ტურად ჩატარდება. გუნდები ჩემპიონობისთვის ბრძოლას 11 აგვისტოდან შეუდგებიან. საინტერესოა ის, რომ ჩემპიონატს ფეხბურთის ფედერაცია აღარ ჩაატარებს და საამისოდ სპეციალური ლიგა შეიქმნება, რომელიც 18 ივნისს უნდა დაფუძნდეს.

რომან ფიფია, დინამოს პრეზიდენტი:

– მნიშვნელოვანია, რომ ლიგა შედგა. რეგისტრაცია 18 ივნისს შედგება. ჩვენ შევიკრიბებით და გავივლით იმ საკითხებს, რაც დარჩა მოსაგვარებელი. ჩემპიონატი 11 აგვისტოს დაიწყება. პირველი წრე 22 თამაში იქნება, შემდეგ – ათი, ამას თასის თამაში დაემატება. ასე რომ, ვფიქრობ, საუკეთესო ვარიანტი შევიმუშავეთ. 18 ივნისს ავირჩევთ პფლ-ის პრეზიდენტს. ერთ-ერთი კანდიდატი ვლადიმერ გუცაევია, ასევე ბატონი ფირცხალავა დააყენებს თავის კანდიდატურას, თუმცა შეიძლება პრეზიდენტობის მსურველთა რიცხვი გაიზარდოს.



ილია კოკაია, ზესტაფონის პრეზიდენტი:

– ჩვენი სურვილი იყო, საფეხბურთო ლიგა ჩამოყალიბებულიყო. დღეს დიდი ნაბიჯი გადავდგით და, რაც მთავარია, პრინციპებზე შევთანხმდით. რაც შეეხება იმას, თუ ვინ უხელმძღვანელებს პროფესიული ფეხბურთის ლიგას, ეს შემდეგი შეხვედრების საკითხია.

ზურაბ დალაქიშვილი, დილა:

– ძალიან ნორმალური და მისაღებია ახალი სისტემა, რომელიც დღეს შევიმუშავეთ. გუნდებს რომ ქულები გადაჰყვებათ, ეს ყველაზე კარგია, რადგან არავინ დაიჩაგრება, რის მაგალითებიც წლევანდელ ჩემპიონატში იყო. ახლა იურისტებმა და ბუღალტრებმა უნდა შეიმუშაონ დოკუმენტი და დაიანგარიშონ, რა დაჯდება საწევრო გადასახადი. პირველი ეტაპისთვის 60.000 ლარს შევიტანთ, ამაზე უკვე შევთანხმდით. თუ რამე დამატებითი იქნება საჭირო, შემდეგისთვის დაითვლიან. რადგან საფუძველი ჩავუყარეთ, აუცილებლად კარგად უნდა გავაკეთოთ.

მ. ყ.


# 6 ივნისიდან

უნიკალური პროექტი

„ახალ თაობასთან“ ერთად იყიდება უნიკალური პროექტის „ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო — 100 წიგნი“ 25-ე ტომი

## ტეტჩერი

„100 წიგნში“ შედის იმ ადამიანთა ბიოგრაფიები, რომელთაც დიდი კვალი დატოვეს მსოფლიო პოლიტიკაში, მეცნიერებასა და კულტურაში.

**გაზეთი და წიგნი ერთად 8 ლარი**





## კროსვორდი

**შვეულად:** 1. ლეჩხუმსა და სამეგრელოში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 2. ქალაქი საფრანგეთში, სადაც განთავსებულია კოსმოსური კვლევის ეროვნული ცენტრი; 3. უძველესი ქართული ხალხური თეატრალური თამაშისანახაობა; 4. ლონდონის „არსენალის“ ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი; 5. სილის საათი; 7. ხელოვნების მუზეუმი ლოს-ანჟელესში; 11. კიდული, ლიანდაგზე მოძრავი ტვირთის ასაწევი მექანიზმი; 13. ისლამის ერთ-ერთი მიმდინარეობა; 15. ბალნეოლოგიური კურორტი რაჭაში; 16. ქოშის მსგავსი ძველებური ქალის ფეხსაცმელი; 18. წვრილი, უკურკო ქიშმიში; 19. ოპერა „დაისის“ პერსონაჟი.

**თარაზულად:** 6. უღრანი ტროპიკული ტყე; 8. მარმარილოს საბადო ტყიბულის რაიონში; 9. თანამედროვე ქართველი კომპოზიტორი; 10. ჭაბურღილიდან ნავთობის, წყლის ამოსაქაჩი პნევმატური მოწყობილობა; 12. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 14. ქორწინების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 17. ქაღალდის ფულის შემსწავლელი დისციპლინა; 20. თაიგულების შედგენის იაპონური ხელოვნება; 21. ლომების ჯოგი; 22. სამონასტრო კომპლექსი ადიგენის რაიონში; 23. „ბითლზის“ ერთ-ერთი წევრი.

შეადგინა თ. კოპალეიშვილმა

